8 – 14 ივნისი 2017
ფასი 1 ლარი 70 თეთრი



# ახალი განათლება

№21 (775) გამოდის 1998 წლიდან
www.axaliganatleba.ge

### მასწავლებლის ეროვნული ჯილდო

## მომავალი განათლებაშია



გვერდი 3

*„ჩვენ გვჯერა, რომ მომავალი განათლებაშია და ვფიქრობთ, ამ მომავლის გასაღები ხელში მასწავლებლებს უჭირავთ. შესაბამისად, რამდენადაც დავაფასებთ ამ პროფესიას, ხელს შევუწყობთ მის განვითარებას და ახალგაზრდების მოზიდვას, იმდენად წაიწევს წინ ჩვენი განათლების სისტემა და ის გამოწვევები, რაც, სამწუხაროდ, დღეს გვაქვს, უფრო ადვილად დაძლევადი იქნება. ამიტომ ვუსახავთ ამ მიზანს ჯილდოს.“*

ირინა ხანთაძე

*„რასაკვირველია, შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ერთი კონკურსი, ერთი ღონისძიება ან ერთი ჯილდო ძირეულად შეცვლის არსებულ ვითარებას, მაგრამ ვფიქრობ, პედაგოგის პროფესიის პრესტიჟის ამაღლებისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება.*

*ნახევარფინალში მოხვედრილი ათი მასწავლებელიც იმსახურებს ჯილდოს და პროფკავშირები ამ ათ მასწავლებელს, ხოლო შემდეგ ფინალში მოხვედრილ 5 მასწავლებელს, სპეციალური პრიზებით დააჯილდოებს.“*

მაია კობახიძე

### ზოგადი განათლების გამოწვევები

## „ნაპრალები“ სასკოლო განათლებაში

*„შედეგები, რომელიც საერთაშორისო და სახელმწიფო შეფასებებიდან მივიღეთ, რომელშიც მეოთხე, მერვე და მეცხრეკლასელები მონაწილეობდნენ, სრულიად არასახარბიელოა. დამეთანხმებით, ალბათ, რომ არალოგიკური იქნებოდა, მე-12 კლასის ბოლოს, სხვანაირი შედეგები გვეჩვენებინა.“*

მაია მიმინოშვილი

*„ზოგადად კი, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე, საერთოდ ვერ ვხედავ გამოცდებზე ორიენტირებული სისტემის აუცილებლობას, რადგან ზოგად განათლებაში გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი მიზნები გვაქვს დასახული, ვიდრე კონკრეტული საგნის საკითხების ცოდნაა. საუბარია იმაზე, რა ღირებულებების მატარებელ მოქალაქეს ვზრდით, რა უნარებითაა აღჭურვილი. მნიშვნელოვანია, ასევე, რამდენად მოქნილი არიან ჩვენი მოსწავლეები თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებისადმი, როგორ უყურებენ გარემოს, შეუძლიათ თუ არა დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება, რამდენად აქვთ კომუნიკაციის უნარი და ა.შ.“*

რევაზ აფხაზავა

*„გამოცდები თავად არის ერთ-ერთი ცუდი ინდიკატორი და ცუდ ინდიკატორზე კარგი პროგრამების დაფუძნება ძნელია, ამიტომ მე ასეთ მნიშვნელობას არც კი მივანიჭებდი ამ გამოცდებს, პირიქით, საერთოდ გავაუქმებდი, რადგან, როგორც ჩანს, მას არანაირი შედეგი არ მოაქვს.“*

სიმონ ჯანაშია


გვერდი 2

გვ. 4

### ეროვნული სასწავლო გეგმა

## მიზანი – კრიტიკულად მოაზროვნე პატრიოტი მოქალაქის აღზრდა




გვ. 5

### ქართველი სტუდენტები უცხოეთში

## ავერეტის საავიაციო უნივერსიტეტის პირველი ქართველი სტუდენტი



წიგნის თარო

### მასწავლებლის ბიბლიოთეკა




**დამხმარე სახელმძღვანელო ყველა საგნის მასწავლებლისთვის**

**პროფესიული უნარების სახელმძღვანელო**

დაგეხმარებათ დამოუკიდებლად მოემზადოთ პედაგოგიური უნარების გამოცდისთვის. მასალა წარმოდგენილია კითხვა-პასუხის სახით, მდიდარია კონკრეტული მაგალითებით და შეიცავს ცოდნის შესამოწმებელ ტესტებს პასუხებით.

ფასი – 15 ლარი მიმდინარეობს ხელმოწერა

ზოგადი განათლების გამოწვევები

# „ნაპრალები“ სასკოლო განათლებაში

ლალი ჯელაძე

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, გაიმართა ორდღიანი კონფერენცია – „სახელმწიფო და საერთაშორისო შეფასება: სასკოლო განათლების ძირითადი გამოწვევები“. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი-საქართველოსა“ (MCA) და „ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის“ (MCC) მხარდაჭერით გამართული კონფერენციის მიზანი იყო საზოგადოებისა და განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელ პირთა ინფორმირება საქართველოს სასკოლო განათლების სისტემაში მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლა-სწავლებაში არსებული ვითარების შესახებ, ასევე ფართო დიალოგის ინიცირება განათლების ხარისხის ამაღლებისა და სწავლის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად.

პირველი დღე სახელმწიფო და საერთაშორისო შეფასების ძირითადი მიგნებების პრეზენტაციას დაეთმო, მეორე დღე კი – იმ ქმედითი ღონისძიებების თაობაზე დისკუსიებს, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესებას და ზოგადად სასკოლო განათლების ხარისხის ზრდას. რა უნდა შეიცვალოს და როგორ? ამის შესახებ იმსჯელეს კონფერენციის მონაწილეებმა, განათლების სისტემისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, ექსპერტებმა, მთავრობისა და პარლამენტის წევრებმა.

**მაია მიმინოშვილმა** განაცხადა, რომ მსგავსი კონფერენციებით წინა წლებში არ იყვნენ განებივრებულები. კონფერენცია უფრო მეტად იმითაა მნიშვნელოვანი, რომ *„სასკოლო განათლების საფეხურზე არსებულ ვითარებას ეძღვნება და ეს განსაკუთრებით აქტუალური მას შემდეგ გახდა, რაც მეთორმეტეკლასელების გარკვეულმა რაოდენობამ საატესტატო გამოცდებზე ბარიერი ვერ გადალახა.*

*შედეგები, რომელიც საერთაშორისო და სახელმწიფო შეფასებებიდან მივიღეთ, რომელშიც მეოთხე, მერვე და მეცხრეკლასელები მონაწილეობდნენ, სრულიად არასახარბიელოა. დამეთანხმებით, ალბათ, რომ არალოგიკური იქნებოდა, მე-12 კლასის ბოლოს, სხვანაირი შედეგები გვეჩვენებინა. ასე რომ, კონფერენცია განსაკუთრებულია იმ კუთხით, რომ ეს არ არის თავის მოწონების კონფერენცია, რადგან საუბარია სწორედ იმ პრობლემებსა და გამოწვევებზე, რომლის წინაშეც დგას სასკოლო განათლების საფეხური.“*

**ალექსანდრე ჯეჯელავამ**, კვლევის შედეგებში, ორი უმთავრესი განსხვავება გამოკვეთა: *„პირველი – ქალაქის საჯარო სკოლები საკმაოდ მაღალ დონეზე არიან, უახლოვდებიან ევროპულ საშუალო დონეს, ხოლო სოფლის სკოლები მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან ქალაქის სკოლებს. ეს არის პირველი ნაპრალი, რომელზეც ჩვენ უნდა ვიმსჯელოთ. მეორე ნაპრალი – სოფლის ქართულენოვან სკოლებს მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან ეთნიკური უმცირესობების სკოლები.“*

სოფლის სკოლებსა და ქალაქის სკოლებს შორის მოსწავლეთა შედეგების მკვეთრ სხვაობაზე საუბრისას, აღნიშნა, რომ ამ სხვაობამ ნათლად გამოაჩინა პედაგოგების პრობლემა საბუნებისმეტყველო მიმართულებით. *„ხარისხიანი მასწავლებლების გარეშე შეუძლებელია ხარისხიანი სწავლება.“* – განაცხადა ალექსანდრე ჯეჯელავამ და გამოთქვა მოსაზრება, რომ ამ საგნებში მოსწავლეთა განათლების დონის ამაღლება სასწავლო გეგმის გაძლიერებით იქნება შესაძლებელი. მას მიაჩნია, რომ მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში მოსწავლეთა არასახარბიელო აკადემიური მოსწრება, რეგიონებში და ეთნიკური უმცირესობების სკოლებში, მხოლოდ მასწავლებელთა კვალიფიკაციის დაბალ დონეს არ უკავშირდება, სხვა ხელისშემშლელ ფაქტორებს შორის, სერიოზული ინფრასტრუქტურული პრობლემებიც დაასახელა.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი და სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში ქეთევან ციხელაშვილი. მათ იმ სამოქმედო გეგმებზე ისაუბრეს, რომელიც დასახელებული პრობლემების მოგვარებას ისახავს მიზნად.

**ლევან დავითაშვილი**: *„წლის დასაწყისში მთავრობამ შეიმუშავა სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია, რომლის განხორციელებას კოორდინაციას სოფლის მეურნეობის სამინისტრო უწევს. ეს სტრატეგია გულისხმობს არა მხოლოდ სოფლის მეურნეობის განვითარებას სოფლად, არამედ სოფელში არასასოფლო ეკონომიკური საქმიანობების განვითარებას, სოციალური მიმართულებების აქცენტს და ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას. ვფიქრობ, ეს არის საფუძველი იმისა, რომ სოფელში, ზოგადად, ცხოვრების დონე ამაღლდეს და ამის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია, ასევე, სასკოლო განათლება სოფლად.“*

**ქეთევან ციხელაშვილი**: *„ჩვენი ამოცანაა, მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობას ჩვენი მოქალაქეებისთვის, განურჩევლად ეთნიკური კუთვნილებისა. როდესაც საერთო სტანდარტებზე ვსაუბრობთ, განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ ეროვნული უმცირესობებისათვის სწავლის შესაძლებლობების ხელმისაწვდომობას. სპეციალურ სახელმწიფო სტრატეგიაში, ოთხ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ მიმართულებას შორის, ხარისხიანი განათლება და სახელმწიფო ენის ცოდნის დონის გაუმჯობესება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებაა. ერთ-ერთი პრობლემური საკითხი და ძირითადი გამოწვევა, რომელიც ჩვენს სახელმწიფოს აქვს, უკავშირდება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში არსებულ ვითარებას, განსაკუთრებით გალის რაიონში, სადაც მშობლიურ ენაზე განათლების ხელმისაწვდომობა ფაქტობრივად შეზღუდულია.“*

როგორც მაია მიმინოშვილმა აღნიშნა: *„სასკოლო გამოწვევების შესახებ კონფერენციას აქტუალობა კიდევ უფრო იმ 11 000-მა ჩაჭრილმა მოსწავლემ შესძინა, რომლებმაც CAT-ის გამოცდებზე მინიმალური ზღვარი ვერ გადალახა. არასახარბიელო მდგომარეობაა არა მხოლოდ საერთაშორისო შეფასებებით და არა მხოლოდ საბუნებისმეტყველო და მათემატიკის მიმართულებებში, არამედ სკოლის დამამთავრებელ შეფასებებშიც, რითაც ზოგადი განათლების სისტემამ კრიტიკა კიდევ უფრო გაიორმაგა. არის თუ არა პრობლემა სისტემური ან სად ვეძებოთ მიზეზი, რატომ დარჩა საატესტატო გამოცდებზე გასული 48 000-მდე მოსწავლიდან 11 000-ზე მეტი ახალგაზრდა უატესტატოდ.“*

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა იმ მეთორმეტეკლასელთა კრახს, რომლებმაც ბარიერი ვერ გადალახეს, ასე აფასებს: *„მომავალში ვაპირებთ ბარიერის აწევას. გერმანიაში XII კლასის ატესტატს იღებს მოსწავლეების 30%, ჩვენთან – 80%, ეს თუ ნიშნავს, რომ ჩვენ სამჯერ უფრო ყოჩაღები ვართ, ვიდრე გერმანელები, არ მგონია. საქმე ის არის, რომ XII კლასის ატესტატი და უმაღლესი განათლება განსაკუთრებით მოტივირებული და მონდომებული ბავშვებისთვისაა. თქვენ თუ ნახავთ, და ალბათ გინახავთ, ამ გამოცდების ამოცანები, დარწმუნდებით, რომ ბავშვმა ცოტა მაინც რომ ისწავლოს და ცოტა მაინც რომ მოინდომოს, 12 წელიწადში კი არა, ერთ წელიწადშიც შესაძლებელია ამ ბარიერის დაძლევა. სასიხარულო ისაა, რომ ამ 11 ათასი ადამიანის წინაშე, ჩემი აზრით, არის უფრო მოკლე გზა ღირსეული ცხოვრებისა და დასაქმებისკენ, რომელსაც პროფესიული განათლება ჰქვია. შედეგები, დაახლოებით, შარშანდელის მსგავსია, ანუ არც გაუარესებაა და არც გაუმჯობესება.“*

მინისტრის განმარტებით, შესაძლოა ბარიერმა ერთიან ეროვნულ გამოცდებზეც აიწიოს. *„ვფიქრობ, საატესტატო გამოცდების და ერთიანი ეროვნული გამოცდების ბარიერი, როგორც ევროპის ქვეყნებში, გაცილებით მაღალი უნდა იყოს. სისტემას აუცილებლად სჭირდება რეფორმა, მათ შორის იმიტომ, რომ ყველა უმაღლესში არ წავიდეს. ეს ანგრევს ჩვენს ქვეყანას, უმუშევრობის ქარხანა გვაქვს შექმნილი. ახლა ჩვენ რომ ბარიერი დავწიოთ, ეს ბავშვები გადალახავდნენ ამ ბარიერს, მერე ასევე დაბალბარიერიანი ეროვნული გამოცდებით ჩააბარებდნენ, ვითომ ისწავლიდნენ უმაღლეს სასწავლებელში, ვითომ უმაღლეს კვალიფიკაციასაც მიიღებდნენ, მერე იქნებოდნენ უმუშევრები და დაგვაბრალებდნენ თქვენ, მე და დანარჩენებს. ახლა ისინი წავლენ პროფესიულ სასწავლებლებში, შეიძენენ პროფესიას და მერე, თუ სწავლის ხასიათზე მოვლენ, უმაღლესშიც ჩაბარებენ, სკოლის დამამთავრებელ გამოცდებზეც შეძლებენ ბარიერის გადალახვას და ბედნიერადაც იცხოვრებენ.“*

**მარიამ ჯაში** აცხადებს, რომ მართალია ხარვეზები არის, მაგრამ მონაცემები საგანგაშო არ არის: *„11300-მა მოსწავლემ და აბიტურიენტმა ვერ გადალახა საატესტატო ბარიერი, მათ შორის 4400 ადამიანი განმეორებით ცდიდა საგამოცდო ბედს. საგანგაშო მონაცემი ნამდვილად არ არის, მით უფრო, თუ გადავხედავთ სხვადასხვა ქვეყნების მონაცემებს, მაგრამ როგორც განათლების კომიტეტის თავმჯდომარე და უპირველესად, როგორც სტუდენტის და მოსწავლის დედა, ძალიან განვიცდი თითოეული მოსწავლის ემოციურ მდგომარეობას და მათი ოჯახების შეშფოთებას აღნიშნულთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, არ გვაქვს მოქნილი სისტემა, რომ მათ შეეძლოთ გადაბარება და ხელმეორედ ცდა, თუნდაც რამდენიმე თვის შემდეგ. ძალიან ინტენსიური კონსულტაცია გავიარე ყველა კოლეგასთან განათლების სამინისტროში – დიახ, ძალიან სამწუხაროა, რომ 11 000-მა მოსწავლემ ვერ გადალახა ბარიერი, მაგრამ იმავე სისტემაში 36 000-მა მოსწავლემ როგორც ქალაქში, ისე სოფლად ბარიერი წარმატებით დაძლია. ამდენად, როცა სისტემურ პრობლემას ვაფასებთ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამავე სისტემამ უზრუნველყო 85%-ში წარმატება. რა თქმა უნდა, ხარვეზები არის და ვფიქრობ, ეს კომპლექსური შედეგია განათლების ხარისხის, სასწავლო პროცესის და, რაც მთავარია, მომზადების.“*

განათლებისა და მეცნიერების მისნისტრის მოადგილე **ლია გიგაური** ამბობს, რომ რასაკვირველია, შედეგებს თავისი წინაპირობა აქვს. პირველ რიგში, ხაზს უსვამს, იმას, რომ 11 ათასში ყველა აქტიური მოსწავლე არ ყოფილა. ციფრს აზუსტებს და ამბობს, რომ მოსწავლეების რაოდენობა შედარებით მცირეა, აქედან 4 ათასი ადამიანი არის გარეპირი, ანუ ადამიანი, რომელიც წლების განმავლობაში სკოლას დაშორებული იყო, დასაქმებულია და გადაწყვიტა, მიიღოს ატესტატი, ამიტომ ეს არ არის მხოლოდ მეთორმეტეკლასელთა შედეგები.

*„როცა შედეგებზე ვსაუბრობთ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს განპირობებულია ძალიან ბევრი ფაქტორით. ამიტომ პრობლემების ანალიზი უნდა მოხდეს კომპლექსურად და ყველა ის ფაქტორი უნდა გავითვალისწინოთ, რომელიც შედეგზე ახდენს გავლენას. ფაქტორები მართლა ძალიან ბევრია და თანამედროვე მიდგომები მიგვიყვანს საუკეთესო შედეგებამდე.*

*სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით, შემუშავებული გვაქვს გრძელვადიანი და საშუალოვადიანი სტრატეგიები, მოკლევადიანი სამუშაო გეგმა. შესაბამისად, არსებობს გადაწყვეტილება პროგრამების გაუმჯობესებასთან და მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებასთან, მათ პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით, ახალი სახელმძღვანელოების შექმნასა და სასკოლო ცხოვრებისა და სასკოლო გარემოს გაუმჯობესებასთან, ასევე, შეფასების სისტემების დახვეწასთან დაკავშირებით; იგეგმება სკოლის დაფინანსების ფორმულის შეცვლა. სტრატეგიულ დონეზე დოკუმენტი უკვე მიღებული გვაქვს და ახლა სამოქმედო გეგმებზე ვმუშაობთ – როდის და როგორ დავიწყოთ თითოეული პროექტის ინპლემენტაცია.*

*ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარებაზე როცა ვსაუბრობ, ეს თავისთავად გულისხმობს განტვირთვასაც, საათობრივი ბადის ცვლილებასაც, არჩევითი საგნების შემოტანასაც, საშუალო საფეხურზე დიფერენცირებულ მიდგომებთან და სწავლებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებსაც. პროგრამების განტვირთვა უკვე დასრულდა პირველ – დაწყებით საფეხურზე, I-VI კლასებში ეროვნული სასწავლო გეგმა დამტკიცებულია, გრიფირების კონკურსი გამოცხადებულია და დაწყებულია შესაბამისი სამუშაოები. ამდენად, სტრატეგია, რომელიც გვაქვს, აუცილებლად მიგვიყვანს საუკეთესო შდეგებამდე, მაგრამ ამას აუცილებლად სჭირდება დრო. ამიტომ, რამდენიმე წელიწადში მნიშვნელოვნად განსხვავებული და გაუმჯობესებული შედეგები უნდა გვექნეს.“*

განათლების ექსპერტი **რევაზ აფხაზავა** მიიჩნევს, რომ ერთი კონკრეტული მიზეზის ძებნა, თუ რატომ დარჩა ამდენი უატესტატო მოსწავლე, სწორ გზამდე არ მიგვიყვანს, რადგან ამის ბევრი მიზეზი არსებობს. *„ერთი ცალსახად იმას აჩვენებს, რომ სკოლის შეფასების სისტემაც არ არის სათანადო დონეზე და,როგორც ჩანს, მოსწავლეები მაინც ახერხებენ კლასიდან კლასში ისე გადასვლას, რომ შესაბამის ცოდნას ვერ ადასტურებენ; მეორე მიზეზი, მთლიანობაში, სკოლა და მასწავლებლების კომპეტენციაა. თვითონ სასწავლო გეგმების პრობლემაცაა, რადგან ძალიან გადატვირთულია, პრობლემაა საზოგადოების დამოკიდებულებაც ზოგადად განათლებისადმი. სხვადასხვა კვლევებითაც დასტურდება, რომ განათლება პრიორიტეტების ათეულშიც ვერ ხვდება. ამ ყველაფრის ერთბლიობა კი იწვევს სავალალო შედეგს, რაც გვაქვს. რეალურად, საფეხურების სტრატეგია და ეროვნული სასწავლო გეგმაც გადასახედია, გასამარტივებელია. ასევე, მასწავლებლების ჩანაცვლების პოლიტიკაა ძალიან მნიშვნელოვნად და ფორსირებულად გასატარებელი. ისეთი ჩანაცვლების პოლიტიკა უნდა გატარდეს, რომ რაც შეიძლება მეტი პროფესიონალი მასწავლებელი გვყავდეს სკოლაში. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები ძალიან მრავალმხრივია და, ძირითადად, მოსწავლეების ღირებულებებსა და უნარებზეა ორიენტირებული. სამწუხაროდ, აქ რა ხდება, ამის შესახებ ძალიან ცოტა ინფორმაცია გვაქვს და თუკი რამე გვაქვს, სამწუხაროდ, არ არის იმედის მომცემი. შესაბამისად, კომპლექსური რადიკალური რეფორმის განხორციელების დროა და, რაც მთავარია, საზოგადოება უნდა იყოს ამ რეფორმის მთავარი დამკვეთი.*

*ზოგადად კი, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე, საერთოდ ვერ ვხედავ გამოცდებზე ორიენტირებული სისტემის აუცილებლობას, რადგან ზოგად განათლებაში გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი მიზნები გვაქვს დასახული, ვიდრე კონკრეტული საგნის საკითხების ცოდნაა. საუბარია იმაზე, რა ღირებულებების მატარებელ მოქალაქეს ვზრდით, რა უნარებითაა აღჭურვილი. მნიშვნელოვანია, ასევე, რამდენად მოქნილი არიან ჩვენი მოსწავლეები თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებისადმი, როგორ უყურებენ გარემოს, შეუძლიათ თუ არა დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება, რამდენად აქვთ კომუნიკაციის უნარი და ა.შ. ეს ის მნიშვნელოვანი საკითხებია, რასაც ზოგადი განათლება უნდა წყვეტდეს და რა ხდება ამ მიმართულებით, არაფერი ვიცით. ერთადერთი, რაც ვიცით, არის ის, რომ გარკვეულ ფაქტობრივ ცოდნას ვერ ითვისებს მოსწავლეების გარკვეული ნაწილი და თუ ითვისებს (ვინც წარმატებით ჩააბარა გამოცდები), ამაში სკოლას რა როლი აქვს, ეს კიდევ საკითხავია, რადგან ვიცით, რომ საქართველოში უპრეცედენტოდ მაღალია რეპეტიტორობის მაჩვენებელი. საერთოდ, სკოლას რა როლი რჩება მოსწავლეების წარმატებაში, თუნდაც კონკრეტული ცოდნის მიღების, კონკრეტული მეცნიერებების ათვისების თვალსაზრისით, ეს დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.“*

განათლების დოქტორი **სიმონ ჯანაშია** კომენტარისგან თავს იკავებს, აცხადებს, რომ ჯერ ბოლომდე ძალიან ბევრი რამ გაურკვეველია, მათ შორის, არ ვიცით რა საგნებში იჭრებიან მოსწავლეები, არის თუ არა განსხვავება სკოლებს შორის, თუ შემთხვევით არის ის 11 ათასი ადამიანი განაწილებული. საერთოდ კი, ფიქრობს, რომ *„გამოცდები თავად არის ერთ-ერთი ცუდი ინდიკატორი და ცუდ ინდიკატორზე კარგი პროგრამების დაფუძნება ძნელია, ამიტომ მე ასეთ მნიშვნელობას არც კი მივანიჭებდი ამ გამოცდებს, პირიქით, საერთოდ გავაუქმებდი, რადგან, როგორც ჩანს, მას არანაირი შედეგი არ მოაქვს.“*

* * *

პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე მარიამ ჯაში ახალი ინიციატივით გამოვიდა და ალექსანდრე ჯეჯელავას მიმართა, რომ გამოცდაზე ჩაჭრილ მოსწავლეებს მეორე შანსი მიეცეს: *„რატომ არ შეიძლება მეთორმეტეკლასელებსაც მიეცეთ, შედარებით შემჭიდროებულ ვადაში, ხელმეორე შანსი, რადგან გამოცდის წარუმატებელი შედეგი შეიძლება გამოწვეული იყოს ტექნიკური მიზეზით. ბუნებრივია, არსებობს სუბიექტურად ემოციური ფონი – სტატისტიკაში, არამასიურად, მაგრამ არის ასეთი შემთხვევებიც. ვფიქრობ, ეს იქნება წინგადადგმული ნაბიჯი არა ხარისხის კომპრომისისთვის, არამედ სისტემის ცოტა მეტი ჰუმანიზაციისთვის და მეტი მოქნილობისთვის.“*

ალექსანდრე ჯეჯელავა ამ ინიციატივის წინააღმდეგია, მიიჩნევს, რომ *„ბარიერი არის უდაბლესი და წიგნი თუ გადაშალა ადამიანმა, ის შეძლებს, რომ ეს ბარიერი გადალახოს. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ ეს არ მოგვცემს დადებით ეფექტს. მეორე მხრივ, მარიამ ჯაშის ინიციატივაში საუბარი იყო არა უბრალოდ მეორე შანსის მიცემაზე, არამედ ტექნიკური ხარვეზების შემთხვევბზე, ანუ არა თავისი მიზეზით თუ შეექმნა მოსწავლეს პრობლემა. ამას აუცილებლად განვიხილავთ მომავალი წლისთვის და თუ აღმოვაჩენთ, რომ ასეთი შემთხვევები დაფიქსირდა (ტექნიკური ხარვეზი მოხდა), რა თქმა უნდა, არ დავუშვებთ, რომ ბავშვი ჩვენი მიზეზით დაზარალდეს.“*

# მომავალი განათლებაშია

ლალი ჯელაძე

კოალიციამ „განათლება ყველასთვის – საქართველო“ და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა „მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს“ პრეზენტაცია გამართა, რომელიც 2017 წლის 13 მაისს დაწესდა. ინიციატივა პირველად ხორციელდება საქართველოში და მასწავლებელთა პოპულარიზაციისაკენ მიმართული გლობალური კამპანიის „The Global Teacher Prize“ ნაწილია.

„მომავალი განათლებაშია“ – ეს ეროვნული ჯილდოს კამპანიის სლოგანია და, ორგანიზატორების აზრით, ზუსტად გამოხატავს იმ მიზანს, რომელიც ამ ინიციატივას დაუსახეს. *„ჩვენ გვჯერა, რომ მომავალი განათლებაშია და ვფიქრობთ, ამ მომავლის გასაღები ხელში მასწავლებლებს უჭირავთ* – გვითხრა **ირინა ხანთაძემ,** კოალიციის დირექტორმა, – *შესაბამისად, რამდენადაც დავაფასებთ ამ პროფესიას, ხელს შევუწყობთ მის განვითარებას და ახალგაზრდების მოზიდვას, იმდენად წაიწევს წინ ჩვენი განათლების სისტემა და ის გამოწვევები, რაც, სამწუხაროდ, დღეს გვაქვს, უფრო ადვილად დაძლევადი იქნება. ამიტომ ვუსახავთ ამ მიზანს ჯილდოს.“* რადგან ეროვნული ჯილდო, გლობალური ჯილდოს მიერაა აკრედიტებული და აფილირებული, ამიტომაც ორგანიზატორები მეთოდოლოგიურ მხარდაჭერას სწორედ მათგან მიიღებენ. აღსანიშნავია, რომ ეროვნული ჯილდოს მფლობელს მეტი შესაძლებლობა ექნება ჩაერთოს და დაწინაურდეს გლობალურ კონკურსში, *„თუმცა ეს, თავისთავად, არანაირ გარანტიას არ გულისხმობს“* – ამბობენ კოალიციაში.

წლევანდელი, რიგით პირველი „მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს“ ფინანსური მხარდამჭერები არიან: **ინა გუდავაძე-პატარკაციშვილი** და ტელეკომპანიები – „იმედი“ და საზოგადოებრივი მაუწყებელი. გამარჯვებული მასწავლებელი კამპანიის გენერალური სპონსორის, ინა გუდავაძე-პატარკაციშვილის მიერ დაწესებულ 10 000 ლარს მიიღებს. თუმცა, როგორც **რევაზ აფხაზავამ** განაცხადა, საპრიზო ფონდი ღიაა და იმედია, კიდევ უფრო გაიზრდება. მისი აზრით, მთავარი ჯილდო მაინც საუკეთესო მასწავლებლად აღიარებაა.

*„ამ დღისთვის ძალიან დიდხანს ვემზადებოდით და დიდი სურვილი გვაქვს, რომ ჯილდო გახდეს მთლიანად საზოგადოებრივ-სახალხო პროექტი, რომელშიც არა მარტო მასწავლებლები ჩაერთვებიან, არამედ ფართო საზოგადოებაც. იმედს ვიტოვებ, რომ წელს ფეხბედნიერი იქნება ეს პროექტი, მაგრამ ამით არ დამთავრდება, ჩვენ გვექნება მასწავლებლის ეროვნული ჯილდო – 2018,19, 20 და ა.შ. პროექტი შემდეგ წლებშიც გაგრძელდება.“* – ამბობს ირინა ხანთაძე.

**ლია გიგაურმა** საქართველოს მასწავლებლებს მიულოცა, მრავალწლიანი მცდელობის შემდეგ, წარმატებით დასრულებული ჯილდოს დაწესება. *„ჩვენ უკვე გვაქვს საშუალება, შევუერთდეთ მასწავლებლების გლობალურ ჯილდოს, რომელშიც მრავალი ქვეყნის მასწავლებელი მონაწილეობს. მოგეხსენებათ, საკმაოდ სოლიდური პრიზია, მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ, პრიზთან ერთად, ეს არის პროექტი, რომელიც ხელს უწყობს მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციას და პროფესიის პრესტიჟის ზრდას განაპირობებს, თითოეულ მასწავლებელს უჩენს მოტივაციას, გახდეს ბევრად უკეთესი და მიიღოს მონაწილეობა კონკურსში. გლობალური კონკურსის საწყისი ეტაპი სწორედ ეროვნული ჯილდოა. დღევანდელი პრეზენტაციიდან ვიღებთ სტარტს რეგიონებში, სადაც წარვადგენთ პროექტს და თითოეულ მასწავლებელს გავაცნობთ იმ კრიტერიუმებსა და პირობებს, რომელიც უნდა დააკმაყოფილონ იმისათვის, რომ გახდნენ ეროვნული ჯილდოს მონაწილე. მინდა წარმატება ვუსურვო ყველა მასწავლებელს და ჩვენს ქვეყანას, რომ მომავალ წელს, გლობალურ ჯილდოზე, თუნდაც ათეულში, მოხვდეს საქართველოდან წარდგენილი მასწავლებელი.*

*გლობალურ ჯილდოს დაწესებული აქვს კრიტერიუმები, ინდიკატორები, რომლითაც აფასებს მასწავლებელს, შესაბამისად, ჩვენ მივყვებით სწორედ მათ მიერ დადგენილ სტანდარტებს. ეს იქნება ხანგრძლივი პროცესი, მაგრამ ძალიან ობიექტური. პროექტის მიზანი არ არის იმ ფაქტის დაფიქსირება, რომ მასწავლებელი თავის საქმიანობას კარგად ასრულებს. მისი მიზანია ლიდერი, ინიციატივის მქონე, ნოვატორი მასწავლებლების გამოვლენა, იმ მასწავლებლების, რომლებიც პროფესიას ავითარებენ ადგილზე, საკლასო ოთახში.“*

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია მოქმედ მასწავლებელს, რომელიც ასწავლის ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო ან კერძო ავტორიზებულ დაწესებულებაში. კონკურსანტების რეგისტრაცია ვებგვერდზე – www.tprize.ge – 31 მაისიდან 14 ივლისის ჩათვლით გაგრძელდება. ამის შემდეგ, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, კონკურსანტთა შერჩევის სამეტაპიან პროცესს, საზოგადოებრივ საწყისებზე დაფუძნებული, 17 წევრისაგან დაკომპლექტებული ჟიური წარმართავს. ჟიური დაკომპლექტებულია: განათლების სპეციალისტების, სამეცნიერო/სასწავლო წრეების წარმომადგენლების, საზოგადო მოღვაწეებისა და საკუთარ პროფესიაში წარმატებული ადამიანებისგან.

ეროვნული ჯილდოს გამარჯვებული უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: ***მოსწავლეების სწავლის შედეგების გაუმჯობესება; სწავლების ინოვაციური და ეფექტური მიდგომების გამოყენება; ზოგადსაკაცობრიო მოქალაქეობრივი ღირებულებებისა და პრინციპების სწავლება; საზოგადოებრივი აღიარება და სამოქალაქო აქტივობა; პროფესიული განვითარება და გამოცდილების გაზიარება.***

მნიშვნელოვანია, მასწავლებელი სწავლებისას იყენებდეს და ნერგავდეს ორიგინალურ, ინტერაქტიულ და მრავალფეროვან მიდგომებს, რაც დადებითად აისახება სასწავლო პროცესზე, ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას და აქედან გამომდინარე – სწავლის შედეგებსაც. ყურადღება ექცევა სასწავლო ტექნოლოგიების ინოვაციურ გამოყენებას ან არასტანდარტული სწავლების ტექნიკის გამოყენებას; მოსწავლეების აღჭურვას საკვანძო ცხოვრებისეული უნარებით და მათ მომზადებას სწრაფად ცვალებადი, მრავალფეროვანი, თანამედროვე სამყაროსათვის, სადაც მათ მოუწევთ განსხვავებული რელიგიის, ეთნიკური კუთვნილებისა და კულტურის ადამიანებთან ურთიერთობა, რაც სასწავლო პროცესში ღირებულებითი განათლების ინტეგრირებითაა შესაძლებელი. ასევე, კონკურსის კრიტერიუმებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია მასწავლებლის როლი და მონაწილეობა სასკოლო თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სკოლისა და თემისათვის გაწეული ღვაწლი, დამსახურება. თავისთავად, მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ მასწავლებელი ადასტურებდეს მასწავლებლის კომპეტენციას და ზრუნავდეს პროფესიულ განვითარებაზე.

პროცესის ღიად, გამჭვირვალედ და ეფექტიანად განხორციელების მიზნით, განაცხადების შერჩევა ოთხ ეტაპად მოხდება: ტექნიკური შემოწმება, ჟიურის/აკადემიის შეფასება, პირისპირ ინტერვიუ და ადგილზე შემოწმება და ჟიურის დისკუსია. პირველ ეტაპზე განაცხადების ტექნიკურ შემოწმებასა და გადარჩევას განახორციელებს ორგანიზატორთა ტექნიკური პერსონალისგან შემდგარი ჯგუფი. მეორე, მესამე და მეოთხე ეტაპებს განახორციელებს საზოგადოებრივ საწყისებზე დაფუძნებული ჟიური-აკადემია. ტექნიკური შემოწმებისას ტექნიკური კომიტეტი შეამოწმებს ყველა შემოსული განაცხადის შესაბამისობას ტექნიკურ მოთხოვნებთან, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის სისრულეს, განხილვის შემდეგ ეტაპზე გადავა მხოლოდ ის განაცხადები, რომლებიც აღნიშნულ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს.

მეორე ეტაპზე გადასული განაცხადები გაივლიან ჟიურის შეფასებას შინაარსობრივ კრიტერიუმებთან მიმართებით. აპლიკაციები შეფასდება ქულობრივად, თითოეულ კრიტერიუმთან მიმართებით. თითოეული აპლიკაცია შეფასდება, მინიმუმ, 2 შემფასებლის მიერ. ქულების დაჯამების შემდეგ შეირჩევა 10 საუკეთესო კანდიდატი. თანაბარი ქულების შემთხვევაში, გაიმართება დისკუსია და, ჟიური 10 საუკეთესო განმცხადებელზე შეთანხმდება.

პირისპირ ინტერვიუები და ადგილზე შემოწმებები კონკურსის მესამე ეტაპია და ამ ეტაპზე, ჟიური გამართავს პირისპირ ინტერვიუებს 10-ეულის წევრებთან. გასაუბრებების შემდეგ, კონსენსუსის საფუძველზე, მონიტორინგისთვის, შეირჩევა 5 კანდიდატი.

საორგანიზაციო ჯგუფის წევრებისაგან დაკომპლექტებული მონიტორინგის ჯგუფი შეამოწმებს თითოეულ შერჩეულ კანდიდატს: დასაქმების ისტორიის გადამოწმება, შეხვედრები თემის წარმომადგენლებთან, კოლეგა მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან, რეკომენდატორებთან. მონიტორინგის ჯგუფი ასევე განახორციელებს ონლაინ შემოწმებას: საჯარო ინფორმაციის მოძიება, პრესაში გამოქვეყნებული სტატიები, აქტივობა სოციალურ მედიაში და სხვა შესაბამისი ინფორმაცია. მონიტორინგის პროცესის დასრულების შემდეგ, საბოლოოდ დამტკიცდება და გამოქვეყნდება 5 ფინალისტის ვინაობა. მეოთხე ეტაპზე, 5 ფინალისტს შორის, ჟიურის განხილვის საფუძველზე, წლის საუკეთესო მასწავლებელი გამოვლინდება. გამარჯვებულის ვინაობა საჯაროდ საზეიმო ცერემონიაზე გამჟღავნდება.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი **გიორგი მაჩაბელი** მიიჩნევს, რომ საუკეთესო მასწავლებლის გამოვლენა არ გაძნელდება, რადგანაც სისტემაში ბევრი პროფესიონალი მასწავლებელი ეგულება. *„მართლა ძალიან კარგი საქმე კეთდება ჯილდოს დაფუძნებით. ეჭვიც არ მეპარება, რომ საუკეთესო მასწავლებლის გამოვლენა არ გაგვიძნელდება, რადგან ბევრი პროფესიონალი მასწავლებელი მეგულება სისტემაში, რომლებიც, სამწუხაროდ, ამ ჯილდოსთვის ერთმანეთს გაუწევენ კონკურენციას, მაგრამ ეს ჯანსაღი კონკურენციაა. შემდეგ გამარჯვებული საერთაშორისო კონკურსზე გაემგზავრება. მნიშვნელოვანია, რომ ამ ჯილდოს დაფუძნებით საერთაშორისო მოძრაობის წევრები ვხდებით, ვუერთდებით გლობალურ ჯილდოს, რომელიც ყოველწლიურად ატარებს კონკურსს და ავლენს გამარჯვებულ მასწავლებელს. წელს გამარჯვებული კანადელი მასწავლებელი გახდა და იმედია, მომავალში ქართველი თუ არ გაიმარჯვებს, ხუთეულში მაინც შევა. ასე რომ, წინ ძალიან სერიოზული პერიოდი გველის. დიდი მადლობა კოალიციას ასეთი საინტერესო ინიციატივისთვის. დიდი ხანია, ამ მიმართულებით ვაპირებდით ნაბიჯის გადადგმას და, რადგან ჩვენი ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა, სიამოვნებით ვუერთდებით მოძრაობას, როგორც თანადამფუძნებლები.*

*ჩვენი მიზანი და ამოცანაა, კონკურსი მაქსიმალურად გახსნილად ჩატარდეს, იმ წესების და კრიტერიუმების დაცვით, რომლებიც საერთაშორისო კრიტერიუმებთან იქნება თანხვედრაში. ასე რომ, ჩვენ არა მარტო ქართველ პრეტენდენტს ვირჩევთ ამ კონკურსით, არამედ ვაძლევთ მანდატს და ვეუბნებით, რომ ის ონკურენტუნარიანია საერთაშორისო მასშტაბით და კონკურენციას გაუწევს კოლეგებს საერთაშორისო მასშტაბით. დიდ იმედებს ვამყარებთ და ვნახოთ, როგორ გამოგვივა, ერთობლივი ძალებით ჩვენ ამას შევძლებთ.“*

**მარიამ ჯაშმა** „მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს“ დაწესება არაჩვეულებრივ ინიციატივად შეაფასა: *„სლოგანი – „მომავალი განათლებაშია“ – კიდევ უფრო ნათელს ხდის ამ ინიციატივის მიზანს. ჯერ კიდევ გვყავს საკმაოდ დიდი არმია პედაგოგებისა, რომლებიც არ ღალატობენ მთავარ ფასეულობებს და ერთგულებას საკუთარი პროფესიის მიმართ. ეს პრიზი გახდება არაჩვეულებრივი საწყისი იმისა, რომ გაიზარდოს პედაგოგის პროფესიის პრესტიჟი, მით უმეტეს, როცა გამარჯვებულს საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობის შესაძლებლობა მიეცემა, რაც კიდევ უფრო დიდი ხელშემწყობი ფაქტორი გახდება. მინდა მადლობა გადავუხადო არა მხოლოდ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს, რომლებიც, ფაქტობრივად, ყოველდღიურად ახალ ნოვაციებს გვთავაზობენ განათლების სისტემაში, არამედ განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო კოალიციას – „განათლება ყველასათვის – საქართველო“, ეს არის კრიტიკული, მაგრამ პოლიტიკურად მიუკერძოებელი, არასამთავრობო სექტორის მაგალითი. ასეთი არასამთავრობო და საზოგადოებრივი სექტორი გვჭირდება ბევრად უფრო მეტი ყველა მიმართულებით. გულწრფელი მადლობა მათ ასეთი არაჩვეულებრივი მაგალითისთვის.“*

განათლებისა და მეცნიერების თავისუფალი პროფკავშირის თავმჯდომარემ **მაია კობახიძემ** განაცხადა: *„რასაკვირველია, შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ერთი კონკურსი, ერთი ღონისძიება ან ერთი ჯილდო ძირეულად შეცვლის არსებულ ვითარებას, მაგრამ ვფიქრობ, პედაგოგის პროფესიის პრესტიჟის ამაღლებისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება“*. მისი აზრით, მასწავლებლის პროფესიის პრესტიჟზე ზრუნვა კიდევ უფრო საჭირო და აქტუალური ხდება იმ ფონზე, *„როდესაც ჩვენს ქვეყანაში პედაგოგის პროფესია ყველაზე არაპრესტიჟული და დაბალანაზღაურებადი გახდა, თავად პედაგოგი კი საყოველთაო კრიტიკის საგნად იქცა. დამეთანხმებით, მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს დაწესება დროული და უმთავრესი გადაწყვეტილებაა და ძალიან სასარგებლო ინიციატივა. სახელმწიფომ და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, დროა, რადიკალურად შეცვალონ დამოკიდებულება პედაგოგის პროფესიის მიმართ. დღეს განათლების სისტემაში არსებული სირთულეების პედაგოგებზე გადაბრალება მხოლოდ და მხოლოდ უარყოფით შედეგებს იწვევს და, რაც მთავარია, მათ მოტივაციაზე და მუშაობის ხარისხზე უარყოფითად მოქმედებს.*

*ასევე მინდა განვაცხადო ისიც, რომ მასწავლებლის ღირსების და ავტორიტეტის ამაღლება პირდაპირ კავშირშია ამ პროფესიის პროპაგანდასთან. ამიტომაც, კარგად უნდა დავგეგმოთ და მოვიფიქროთ კომპლექსური ღონისძიებები, რომ ამ მიმართულებით გავაუმჯობესოთ ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა.“*

ათასწლეულის გამოწვევის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი, ჟიურის წევრი **მაგდა მაღრაძე** ეროვნული ჯილდოს დაწესებას ძალიან მნიშვნელოვან ინიციატივად მიიჩნევს და ამბობს, რომ: *„მასწავლებლის ეროვნული ჯილდო პირველი კონკურსია საქართველოში, რომელიც დაეხმარება მათ, საერთაშორისო ასპარეზზე გავიდნენ და მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო ჯილდოს კონკურსში, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან მოიზიდავს იმ წარმატებულ მასწავლებლებს, რომლებიც ამ ქვეყნებმა დააფასეს და დააჯილდოვეს. საერთაშორისო კონკურსში იმარჯვებს ერთი მასწავლებელი, რომელიც საუკეთესოა თავის სფეროში. ეროვნული ჯილდო ხელს შეუწყობს მასწავლებლის პროფესიის დაფასებას, რაც საქართველოში ისეთ დონეზე არ არის, როგორც უნდა იყოს. განათლების შეფასებებშიც არ გვაქვს ისეთი სახარბიელო შედეგები, ჩვენი მოსწავლეები საერთაშორისო შეფასებებში მაღალ დონეზე ვერ არიან და ხშირად ეს სწორედ მასწავლებლების გამოა. თუ გვინდა, სწავლა-სწავლების ხარისხი სკოლებში უფრო მაღალი იყოს და ჩვენი მოსწავლეები უფრო წარმატებულები იყვნენ, პირველ რიგში, მასწავლებლის პროფესია უნდა დაფასდეს, სწორედ ამ საკითხის წამოწევას შეუწყობს ხელს კონკურსი.*

*კონკურსი, თავისთავად მნიშვნელოვანია, რადგან კომპლექსური მიდგომით წარმოდგენილი ჯილდოა, რომლის კრიტერიუმები არა მხოლოდ სწავლა-სწავლების ხარისხს, არამედ საზოგადოებრივ საქმიანობაში მასწავლებლის მონაწილეობას შეაფასებს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია და მიხარია, რომ ჟიურის წევრი ვარ და საშუალება მექნება, გამოვავლინო საუკეთესო მასწავლებელი. საქმე საკმაოდ შრომატევადი იქნება. იმედი გვაქვს, ბევრი მასწავლებელი გააკეთებს განაცხადს ჯილდოს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, რა თქმა უნდა, ჩვენ მზად ვართ მუშაობისთვის.“*

მაია კობახიძე, რომელიც ასევე ჟურის წევრია, ამბობს, რომ ჟიურის დანარჩენ წევრებთან ერთად, წინ რთული სამუშაო ელოდებათ, რადგანაც კონკურსი, თავისი შინაარსით, რთულია. *„მაგრამ ამისთვის მზად ვარ და, რაც მთავარია, ვიქნებით მაქსიმალურად ობიექტურები,“* – ამბობს ქალბატონი მაია და, ორგანიზაციის სახელით, ჩვენი გაზეთის საშუალებით, წინმსწრებ განცხადებას აკეთებს: *„ნახევარფინალში მოხვედრილი ათი მასწავლებელიც იმსახურებს ჯილდოს და პროფკავშირები ამ ათ მასწავლებელს, ხოლო შემდეგ ფინალში მოხვედრილ 5 მასწავლებელს, სპეციალური პრიზებით დააჯილდოებს.“*

პრეზენტაციაზე საზოგადოებას დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს კამპანიის ეტაპების, კონკურსის პირობების, მხარდამჭერებისა და ფინალური ღონისძიების შესახებ, წარადგინეს სპეციალურად კამპანიისთვის შექმნილი საინფორმაციო კლიპი და ვებგვერდი – www.tprize.ge, რომელზეც კონკურსში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ დარეგისტრირება.

*„დღევანდელ პრეზენტაციამდე რამდენიმეთვიანი საკმაოდ რთული საორგანიზაციო პერიოდი გამოვიარეთ, თუმცა არც დღეს მთავრდება საორგანიზაციო სირთულეები, რადგან კიდევ უფრო ინტენსიურ მუშაობაზე გადავდივართ,“* – განაცხადა რევაზ აფხაზავამ და მოუწოდა მასწავლებლებს, მონაწილეობა მიიღონ მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს კონკურსში, რომლის გამარჯვებულიც 5 ოქტომბერს დასახელდება და, ავტომატურად, მასწავლებლის გლობალური ჯილდოს ერთ-ერთი მონაწილე გახდება. რაც მთავარია, ორგანიზატორები მიიჩნევენ, რომ მასწავლებლის პროფესიის განვითარება მომავალთან მჭიდრო კავშირშია. *„გვინდა, ამაში ჩვენი წვლილი შევიტანოთ და საზოგადოებას ვაჩვენოთ, რატომ უნდა ვაფასებდეთ მასწავლებელს,“* – განაცხადა ირინა ხანთაძემ.

# მიზანი – კრიტიკულად მოაზროვნე პატრიოტი მოქალაქის აღზრდა

*ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარების კოორდინატორი* **ნიკო სილაგაძე** *გვესაუბრება საგნის „მე და საზოგადოება“ სტანდარტზე – როგორ უნდა მოხდეს ეროვნული სასწავლო გეგმის რეალიზება სასკოლო ოთახში, როგორ არის მასში ასახული ის სიახლეები, რაც მას წინა თაობის სტანდარტებისგან განასხვავებს.*



„საგნის „მე და საზოგადოება“ რეალური და უმთავრესი მიზანია მოსწავლეს სამშობლო შეაყვაროს და მასზე ზრუნვა ასწავლოს. საზოგადოებრივი მეცნიერებების სხვა საგნებიც (ჩვენი საქართველო, ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება) იმავე მიზანს ემსახურება.“

## „მე და საზოგადოება“ – ზოგადი ინფორმაცია

საგანი „მე და საზოგადოება“ III-IV კლასებში ისწავლება. მას კვირაში 2 საათი ეთმობა.

## „მე და საზოგადოება“ სამოქალაქო განათლების ნაწილია?

„მე და საზოგადოებაც“, „ჩვენი საქართველოც“, სამოქალაქო განათლებაც, ისტორიაც და გეოგრაფიაც ყველა საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის საგნებია. ახალი სტანდარტით, საზოგადოებრივი მეცნიერებები ასე იქნება ორგანიზებული:

❖ III-IV კლასებში ისწავლება „მე და საზოგადოება“;

❖ V-VI კლასებში – „ჩვენი საქართველო“;
ორივე მათგანი ისტორიის, გეოგრაფიისა და სამოქალაქო განათლების ინტეგრირებულ სწავლებას გულისხმობს.

❖ საბაზო საფეხურზე, VII-VIII-IX კლასებში, დამოუკიდებელი საგნების სახით დაიწყება ისტორიის, გეოგრაფიისა და სამოქალაქო განათლების სწავლება.

დაწყებით საფეხურზე ინტეგრირებული საგნები გვაქვს. შედარებით მაღალ კლასებში კი დამოუკიდებელი მეცნიერებების (ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება) სწავლა-სწავლება იწყება.

## როგორ არის აგებული მათი კურიკულუმი?

ამის გასაგებად ხუთი საკვანძო ცნების გათავისებაა საჭირო:

1) სასწავლო შედეგი;
2) სასწავლო ცნება;
3) სასწავლო თემა;
4) მაპროვოცირებელი/საკვანძო შეკითხვა;
5) წლიური პროგრამა.

## რა არის სასწავლო შედეგი?

ეს არის აღწერილობა იმისა, თუ რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ. მაგალითად, მე-9 და მე-11 კლასების შედეგი შემდეგი სახითაა ფორმულირებული:

❖ *მოსწავლემ უნდა შეძლოს ცხოვრებისეული სიტუაციების დროსთან დაკავშირება და ტერმინების წარსულის, აწმყოს, მომავლის ადეკვატურად გამოყენება;*

❖ *მოსწავლემ უნდა შეძლოს ლეგენდების და მითების, კულტურულ-ისტორიული ძეგლების, მნიშვნელოვანი მოვლენების, ისტორიული და თანამედროვე პიროვნებების ლოკალურ გარემოსთან დაკავშირება.*

ამ მიზნის ზემოთ დგას ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნები, იმის ზემოთ კი – ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები.

საგანში „მე და საზოგადოება“ 17 ასეთი სასწავლო შედეგია გამოყოფილი.

მნიშვნელოვანი ერთეულია, ასევე, **სასწავლო თემა.** ამ საგანში 6 თემაა გამოყოფილი:

❖ მესამე კლასში – „ჩემი ოჯახი“; „გარემო, რომელშიც ვცხოვრობ“; „სკოლა, მეგობრები და თანატოლები“;

❖ მეოთხე კლასში – „სად და როგორ ვიღებ განათლებას“; „მედია და ინფორმაცია“; „მე და ჩემი ქვეყანა“.

ასე მკაცრად განსაზღვრული თემები წინა სასწავლო გეგმაში არ გვქონდა. თემები ახალ სასწავლო გეგმაში შემოტანილია იმისთვის, რომ მოხერხდეს სასწავლო პროცესის დროში სტრუქტურირება. თემა, განსხვავებით საკითხისგან ან პარაგრაფისგან, მსხვილი სასწავლო ერთეულია, რომელზე მუშაობა ორ თვეზე მეტ ხანსაც კი შეიძლება გაგრძელდეს. „მე და საზოგადოების“ ფარგლებში, თითოეული თემისთვის, დაახლოებით, 20 საათი ივარაუდება.

## უფრო დაწვრილებით ავხსნათ, რისთვის არის შემოტანილი და რა ფუნქცია აკისრია სასწავლო თემებს?

სასწავლო თემა მასწავლებელს სასწავლო პროცესის დაგეგმვაში ეხმარება, მოსწავლეს კი – სასწავლო საკითხების ცხოვრებისეულ სიტუაციებთან დაკავშირებაში.

თემა არ არის პასუხი კითხვაზე – რა უნდა იცოდეს მოსწავლემ? ესაა ცხოვრებისეული კონტექსტი, რომელშიც მას შესაძლოა შეძენილი ცოდნისა და უნარების გამოყენება მოუხდეს. აქ მნიშვნელოვანია ფუნქციური ცოდნა. მოსწავლეს ახალი მასალა იმაზე დაყრდნობით უნდა ავუხსნათ, რაც მან ისედაც იცის.

მაგალითად, თემაში „ჩემი ოჯახი“ ჩვენი მიზანი არ არის მოსწავლეს მივაწოდოთ „ცოდნა ოჯახის შესახებ“. ამ შემთხვევაში, ოჯახი უბრალოდ კონტექსტია. იგივე ითქმის სხვა თემებზეც.

ეს თემები მხოლოდ საშუალებებია იმისთვის, რომ მოსწავლეებს ნაცნობ საკითხებზე (ოჯახზე, სკოლაზე, მედიაზე და სხვა) საუბრის პირობებში განვავითარებინოთ ის უნარები და ჩამოვუყალიბოთ ის ღირებულებები, რომლებიც საგან „მე და საზოგადოების“ სტანდარტში სასწავლო შედეგების სახითაა გამოკვეთილი.

## როგორ ხდება ეს?

მაგალითად, მიზანი (მისაღწევი შედეგი) გვაქვს:

❖ *მოსწავლემ უნდა შეძლოს ცხოვრებისეული სიტუაციების დროსთან დაკავშირება და ტერმინების – წარსულის, აწმყოს, მომავლის – ადეკვატურად გამოყენება.*

თემად კი გვაქვს „მედია და ინფორმაცია“.

უპირველეს ყოვლისა, გამოვყოფთ მაპროვოცირებელ/საკვანძო შეკითხვას, რომლის გასააზრებლადაც მოსწავლეს ცნებების – „წარსული“, „აწმყო“, „მომავალი“ – ფუნქციურ კონტექსტში გამოყენება დასჭირდება.

ამ ტიპის შეკითხვებს სამეცნიერო ლიტერატურაში Essential Questions უწოდებენ. მათი თავისებურება ისაა, რომ ისინი შეკითხვებით – „რატომ?“ და „როგორ?“ იწყება და მათ არ აქვთ ერთი სწორი პასუხი. გაკვეთილის/გაკვეთილების მიზანია, მასწავლებელმა მოსწავლეები ამ კითხვებზე დააფიქროს.

მაგალითად: *როგორ ხდებოდა ინფორმაციის გავრცელება/გადაცემა ძველად და ახლა?*

უნდა შევარჩიოთ აქტივობები, რომლებიც მოსწავლეს ამ შეკითხვაზე დააფიქრებს და მათი კვლევისკენ/შესწავლისკენ უბიძგებს.

მაგალითად, დავავალებთ გაიაზრონ, თუ როგორ შეიძლება „მტრედის“, „ბოთლის“, „ცეცხლის“ გამოყენებით ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციის შორ მანძილზე გადაცემა.

## რით განსხვავდება ახალი სტანდარტი ძველისგან?

ეს სტანდარტი, განსხვავებით წინა სტანდარტისგან, უფრო დეტალურ და გასაგებ ინსტრუქციებს შეიცავს.

მასწავლებელი, რომელიც ამ სტანდარტს აიღებს ხელში, ნახავს მკაფიოდ გაწერილ 17 შედეგს, ანუ სასწავლო ამოცანას – რისთვის ვასწავლი ამ საგანს. ნახავს, ასევე, მკაფიო ვალდებულებას – რომელი თემების ფარგლებში უნდა დაამუშაოს ეს შედეგები. აქვე ნახავს საკვანძო ცნებებსა და საკვანძო/მაპროვოცირებელ შეკითხვებს.

ცხადია, პედაგოგებს, პირველ ეტაპზე, შეიძლება გაუჭირდეთ შეკითხვების პროვოცირებისთვის საჭირო აქტივობების მოფიქრება. ამიტომ, სტანდარტთან ერთად, დეტალიზირებულ წლიურ პროგრამასაც ვთავაზობთ, სადაც თითოეული თემისთვის, საათების რაოდენობის გათვალისწინებით, გაკვეთილის იდეებია შეთავაზებული.

## მათ აქვთ არჩევანის თავისუფლება?

რა თქმა უნდა, წლიური პროგრამა, სტანდარტისგან განსხვავებით, სარეკომენდაციოა როგორც სახელმძღვანელოების ავტორებისთვის, ასევე მასწავლებლისთვის. ის შექმნილია მხოლოდ და მხოლოდ ახალი იდეების გენერირების ხელშესაწყობად.

## წელს ეს საგანი პილოტირების სახით შევა სკოლებში?

პილოტირება, რომელსაც ჩვენ ვატარებთ, რეალურად იმის შემოწმებაა, თუ რამდენად ეფექტურად შეიძლება შემოთავაზებული თემების ფარგლებში სასწავლო შედეგების დამუშავება. რამდენად მართებულადაა შერჩეული საკვანძო/მაპროვოცირებელი შეკითხვები; რამდენად რელევანტურია წლიურ პროგრამაში პედაგოგებისთვის შეთავაზებული აქტივობები.

ამ ტიპის პილოტირება, არასამთავრობო ორგანიზაცია „თანადგომის“ ხელშეწყობით უკვე ჩატარდა „ცხოვრების ჯანსაღ წესთან“ დაკავშირებით. მომავალ წელს ალბათ სხვა საკითხებსაც შევეხებით.

## უკვე განსაზღვრულია სკოლების რაოდენობა, რომლებშიც დაიწყება პილოტირება?

5 სკოლაა ჩართული, თბილისის და რეგიონის.

## როგორი იყო უკვე ჩატარებული პილოტირების შედეგი?

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები ადვილად იგებენ სტანდარტის მოთხოვნებსა და მისი რეალიზების გზებს. პილოტირების პროცესში ავლენენ შემოქმედებითობას. მოსწავლეები კი სწავლა-სწავლების პროცესში ხალისით ებმებიან, ვინაიდან, „მე და საზოგადოების“ ფარგლებში, მათ ევალებათ კვლევები, როლური გათამაშებები, დისკუსიები, ვიდეორგოლების გარჩევა, ინტერვიუების მოძიება. ბავშვებისთვის თვალშისაცემია ის, რომ არავინ აძალებს მაინცადამაინც დიდი მოცულობის მასალის წაკითხვას ან დასწავლას, ამიტომ მათი მხრიდანაც პოზიტიური დამოკიდებულება იყო.

## რამდენად საფუძვლიანია „მე და საზოგადოების“ გარშემო ატეხილი ხმაური?

რეზონანსული თემების განხილვას ყოველთვის მოსდევს მითების ჩამოყალიბება, რომლებსაც რეალობასთან საერთო არაფერი აქვთ. „მე და საზოგადოების“ შემთხვევაში, უსაფუძვლო მითია ის, რომ ამ საგანს რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან ან სექსუალური უმცირესობების შესახებ სწავლებასთან აქვს საერთო. ამ ტიპის საკითხებს „მე და საზოგადოება“ საერთოდ არ ეხება.

მისი რეალური და უმთავრესი მიზანია მოსწავლეს სამშობლო შეაყვაროს და მასზე ზრუნვა ასწავლოს. საზოგადოებრივი მეცნიერების სხვა საგნებიც (ჩვენი საქართველო, ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება) იმავე მიზანს ემსახურება.

III-IV კლასებში (საგნის „მე და საზოგადოება“ ფარგლებში) სამშობლო გაიგივებულია ოჯახთან, სკოლასთან, მშობლიურ გარემოსთან და სხვა „სოციალიზაციის აგენტებთან“, რომლებთანაც მოსწავლეს უწევს შეხება;

V-VI კლასებში – საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებთან.

ჯამში, ყველაფერი ჰუმანური, კრიტიკულად მოაზროვნე, პატრიოტი და პასუხისმგებლობიანი მოქალაქის აღზრდას ემსახურება.

ესაუბრა
**ლალი თვალაბეიშვილი**

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

# ავერეტის საავიაციო უნივერსიტეტის პირველი ქართველი სტუდენტი

მაკა ყიფიანი




AVERETT UNIVERSITY

proudly recognizes

RATI ZEDGINIDZE

as a

Presidential Scholar

In the amount of $20,000

beginning in the 2017-2018

academic year

Joel Nester
Director of Admissions

**რატი ზედგინიძე** დაბა ასპინძის სკოლის 2017 წლის ერთ-ერთი წარმატებული კურსდამთავრებულია. XII$^{\text{ბ}}$ კლასის მოსწავლემ TOEFL-ის და SAT-ის გამოცდები წარმატებით ჩააბარა. მიღებული შედეგებით ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ, ვირჯინიის შტატის ქალაქ დენვილის AVERETT-ის საავიაციო უნივერსიტეტში ჩაირიცხა. უნივერსიტეტის კომისიის გადაწყვეტილებით, რატი, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო შედეგის მქონე, 20 000 ამერიკული დოლარით დაფინანსდა, რაც ოთხი სასწავლო წლის განმავლობაში 80 000 აშშ დოლარს შეადგენს. სპეციალური კომისიის გადაწყვეტილებით, რატი ზედგინიძის სწავლა სრულად დაფინანსდება.

რამდენიმე წლის წინ, 17 წლის რატის მთავარი ინტერესი თვითმფრინავი, ოცნება კი პილოტობა გახდა, მას შემდეგ ყველაფერი ავიაციას დაუკავშირა. ინტერნეტში ეძებდა და კითხულობდა ინფორმაციას ავიაციის, მფრინავებისა და თვითმფრინავების შესახებ. მისი კლასის ხელმძღვანელი, ქალბატონი ნინო იხსენებს, თუ რამდენჯერ შეუნიშნავს რატი დასვენებაზე, სკოლის დერეფანში, გაშლილი ხელებით ჩაიქროლებდა და ამით თვითმფრინავის იმიტაციას აკეთებდა. სულ მფრინაობაზე ოცნებობდა, სხვა არაფერი უნდოდა. ოცნება რომ რეალობად ექცია, არაერთი რთული ეტაპი უნდა გაევლო. პასუხების მიღებას ხანგრძლივი შრომა და ნერვიულობა უძღოდა წინ. ერთ მშვენიერ დღეს კი რატიმ ფოსტით წერილი მიიღო:

***ახლა თქვენი დროა***
*ავერეტის უნივერსიტეტი – დაარსდა 1859წ.*
*27 მარტი, 2017 წელი*
*რატი ზედგინიძე, ასპინძა, საქართველო*

*„ძვირფასო რატი,*

*გილოცავთ! ჩვენ გიწვევთ თქვენ, რათა შემოუერთდეთ ჩვენს აკადემიურ საზოგადოებას. ჩვენ მოხარული ვართ შემოგთავაზოთ ჩარიცხვა Averett-ის უნივერსიტეტში. კეთილი იყოს თქვენი ფეხი ავერეტის 2021 წლის სასწავლო კურსზე!*

*ასევე ჩვენ სიამაყით გვინდა გაცნობოთ, რომ ავერეტის უნივერსიტეტის სასტიპენდიო კომიტეტის კარგ რეკომენდაციასთან ერთად, თქვენ დაჯილდოვდით პრეზიდენტის სტიპენდიით, რომელსაც 2017-2018 წლებში მიიღებთ. თქვენი აკადემიური მიღწევებიდან გამომდინარე, მიიღებთ 20 000 დოლარს ყოველ წელს, 80 000 დოლარს – 4 წლის განმავლობაში. პრეზიდენტის სტიპენდია, რომელიც ყოველწლიურად განახლდება, საშუალებას მოგცემთ, მყარად იდგეთ, შეინარჩუნოთ სრული სტატუსი და მიაღწიოთ აკადემიურ განვითარებას უნივერსიტეტის დამთავრებამდე.*

*ეს არის ბრწყინვალე დრო თქვენს ცხოვრებაში და ჩვენც ასევე აღფრთოვანებული ვართ იმის ცოდნით, თუ რამდენად ნაყოფიერი, სასარგებლო და სახალისო იქნება თქვენთვის ამ უნივერსიტეტში მიღებული გამოცდილება. ჩვენ ვიცით, რომ თქვენ გაქვთ დიდი ოცნებები და ავერეტის უნივერსიტეტი დაგეხმარებათ, განახორციელოთ ისინი მომავალში. ჩვენი უნივერსიტეტი მოიცავს სხვადასხვა კურსებს, ყურადღებიან პროფესორებსა და აკადემიურ ფილოსოფიას, რომელიც ფოკუსირებულია თქვენს წარმატებაზე. ავერეტის უნივერსიტეტი დაგეხმარებათ, ააშენოთ ფუნდამენტი თქვენი ცხოვრებისთვის, სადაც არ უნდა წაგიყვანოთ ცხოვრებამ.*

*ავერეტის უნივერსიტეტში შთამბეჭდავი რამ ხდება და ჩვენ გვინდა, რომ იყოთ ჩვენი მუდმივად განვითარებადი საზოგადოების წევრი. იმ მომენტიდან, როდესაც თქვენ ფეხს შემოდგამთ კამპუსში, მაშინვე აღმოაჩენთ თუ როგორი ძლიერი სტუდენტური ცხოვრება გვაქვს ჩვენ აქ და ნახავთ, როგორ იღებს უნივერსიტეტი პასუხისმგებლობას თქვენს წარმატებაზე სწავლების დაწყებიდან უნივერსიტეტის დამთავრებამდე და შემდეგაც. ალბათ ეს არის მიზეზი, რატომაც ასახელებენ ჩვენს უნივერსიტეტს მუდმივად რეგიონალური კოლეჯების (უნივერსიტეტების) ტოპ უნივერსიტეტებს შორის.*

*გილოცავთ რატი, და კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ავერეტის უნივერსიტეტში“ –* ***ჯოელ ნესტერი***

რატის, Averett-ის საავიაციო უნივერსიტეტში აგვისტოში ელიან, სადაც ახალი გამოცდილებების მიღება საკუთარი ცოდნის დამტკიცება და სიახლეების შესწავლა მოუწევს. სულ მალე იგი საქართველოს დატოვებს და ძალიან შორს, ოკეანის გაღმა, მიზნების და ოცნებების ასასრულებლად გაემგზავრება და იმ სტუდენტების გვერდით დაიკავებს საპატიო ადგილს, რომლებიც უკვე მსოფლიოს სხვადასხვა წამყვან უნივერსიტეტებში სწავლობენ.

**რატი ზედგინიძე:** *„ბავშვობიდან მინდოდა მფრინავი გავმხდარიყავი, ჩემი სახლის აივნიდან საჰაერო დერეფანი ჩანს, საღამოობით ვიჯექი აივანზე და ცას შევყურებდი, სიყვარულით ვაყოლებდი თვალს თვითმფრინავებს და ვოცნებობდი მფრინავობაზე. ინტერნეტით ვათვალიერებდი ვიდეოებს თვითმფრინავების შესახებ, ვეცნობოდი ინფორმაციას მფრინავების ცხოვრებაზე, რაც ძალიან მომწონდა და უფრო და უფრო მემატებოდა ინტერესი ამ პროფესიის მიმართ. მიზნის მისაღწევად მხოლოდ ოცნება არ იყო საკმარისი, ამისათვის საჭირო იყო კარგად მესწავლა! ამიტომაც მაქსიმალურად მოვუმატე სწავლას და ხარისხიც გავაუმჯობესე. როდესაც გადავედი მეთერთმეტე კლასში დავიწყე ამერიკული გამოცდებისთვის მზადება. ყველანაირი ინფორმაცია მოვიძიე, რაც მჭირდებოდა იმისთვის, რომ ამერიკაში მესწავლა. ინგლისურის შესწავლა თითქმის ნულიდან დავიწყე. მართლაც დღე და ღამე ვმეცადინეობდი და 10 თვეში ინგლისურ ენას იმ დონეზე დავეუფლე, რომ გასული წლის დეკემბერში შევძელი TOEFL-ის და SAT-ის გამოცდების ჩაბარება. მიღებული შედეგები საზღვარგარეთის ხუთ სხვადასხვა უნივერსიტეტში გავაგზავნე, ხუთივედან დადებითი პასუხი მომივიდა, მაგრამ სასურველი დაფინანსება ავერეტისგან მივიღე, რადგან დაფინანსება ხელს მიწყობდა და პილოტის პროგრამაზეც შემეძლო სწავლა, ამიტომ ავირჩიე ეს უნივერსიტეტი. როგორც ვიცი, ამ მხრივ, ავერეტის უნივერსიტეტი ამერიკაში ერთ-ერთი საუკეთესო საავიაციო უმაღლესი სასწავლებელია. უნივერსიტეტი დაარსდა 1859 წელს. მის შესახებ ინტერნეტით მოვიძიე ინფორმაცია, დავათვალიერე ულამაზესი შენობა, კამპუსი, უზარმაზარ ტერიტორიაზე განლაგებული სპორტული მოედნები. ჩემი მიზანი და ოცნებაა ჩემი თვითმფრინავით შემოვუფრინო მსოფლიოს.*

*ჩემმა მშობლებმა საპასუხისმგებლო და რისკიანი გადაწყვეტილების მიღებაში მხარი უპირობოდ დამიჭირეს. მათთან ერთად, მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს პედაგოგებს და განსაკუთრებით დამრიგებელს თანადგომისათვის. ისინი მამხნევებდნენ, როდესაც თბილისში გამოცდებზე მივდიოდი. არ აქვს მნიშვნელობა სად სწავლობ – თბილისში, ასპინძაში თუ სხვა, რომელიმე სოფლის სკოლაში, მთავარია მონდომება. შეუძლებელი მეგონა ასპინძიდან სასწავლებლად ამერიკაში თუ წავიდოდი. ავერეტის უნივერსიტეტში პირველი ქართველი და მით უმეტეს პირველი ასპინძელი ვიქნები (როგორც ვიცი, იქ არ არიან ქართველი სტუდენტები), ერთი სული მაქვს, როდის დავიწყებ სწავლას. გპირდებით, იქაც კარგად ვისწავლი და ვასახელებ ჩემს პატარა საქართველოს.“*

**კლარა ზედგინიძე**, დაბა ასპინძის საჯარო სკოლის დირექტორი: *„რატის წარმატებამ ყველა ძალიან გაგვახარა, მე მას ისტორიას ვასწავლიდი, ძალიან ნიჭიერი, მიზანმიმართული, შრომისმოყვარე მოსწავლე იყო. ბავშვობიდან ოცნებობდა, მფრინავი გამხდარიყო. განსაკუთრებით მეათე კლასში მოუმატა სწავლას. მან საატესტატო გამოცდებიც წარმატებით ჩააბარა და დასახულ მიზანსაც მიაღწია – რატიმ შეუძლებელი შეძლო.არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ კლასში, სადაც რატი სწავლობდა, ძალიან ძლიერი ნაკადი გვყავდა – 4 ოქროს და 2 ვერცხლის მედლის კანდიდატი. სკოლაში გვყავს „ეტალონში“გამარჯვებული მოსწავლე. დარწმუნებული ვარ, ეს ბავშვები დიდ წვლილს შეიტანენ ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში.*

*რატის იმითაც გაუმართლა, რომ კარგი მასწავლებლები ჰყავდა, განსაკუთრებით, ინგლისური ენის მასწავლებელი და კლასის დამრიგებელი, რომლებიც მუდამ გვერდში ედგნენ. აღსანიშნავია, რომ რატის დედა და ბებია ჩვენი სკოლი წარმატებული პედაგოგები არიან. ჩვენი სკოლის პედაგოგების 50 პროცენტი სერტიფიცირებულია. გვეამაყება, რომ რატიმ სკოლა ასახელა, ის დაბა ასპინძის სკოლის პირველი კურსდამთავრებულია, რომელიც ამერიკის უმაღლეს სასწავლებელში გააგრძელებს სწავლას. ასპინძის სკოლის სახელით, ვულოცავ რატის სტუდენტობას და წარმატებებს ვუსურვებთ“.*

**ნინო სახვაძე-ლოლაძე**, დაბა ასპინძის საჯარო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, კლასის ხელმძღვანელი: *„რატის წარმატება ნამდვილად არ გამკვირვებია, რადგან ის ყოველთვის გამოირჩეოდა შრომისმოყვარეობით, ყოველთვის იყო ჩართული სხვადასხვა პროექტებსა თუ ღონისძიებებში, იყო მიზანსწრაფული. შვიდი წელი ვხელმძღვანელობდი მის კლასს, 25 მოსწავლიდან რატი ერთ-ერთი წარმატებული და ნიჭიერი მოსწავლე იყო, ამავდროულად ცელქი და მოუსვენარი. ძალიან ბევრს კითხულობდა როგორც მხატვრულ ლიტერატურას, ისე დოკუმენტურ მასალას, შემდეგ ამაზე ბევრს ვსაუბრობდით. ოცნებობდა ავიაციაზე, სხვა არაფერი უნდოდა. ბევრჯერ შემიმჩნევია დასვენებაზე, დერეფანში, ხელებს გაშლიდა და გაიქცეოდა, თვითმფრინავის იმიტაციას აკეთებდა. ვამაყობ რატის წარმატებით და მაიმედებს ის, რომ რამდენიმე წლის შემდეგ დაბრუნდება საქართველოში და თავის ნიჭს, ცოდნას და გამოცდილებას მოახმარს ჩვენს ქვეყანას“ .*

**ლელა ტაბატაძე,** დაბა ასპინძის საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი: *„რატი ძალიან შრომისმოყვარე და მოწესრიგებული მოსწავლე იყო, განსაკუთრებით მეათე კლასში მოუმატა სწავლას, საოცრად შეიცვალა, დავალებას რასაც ვაძლევდი ორჯერ უფრო მეტი მასალა მოჰქონდა დამოუკიდებლად მომზადებული. ძალიან კარგად ფლობს ინგლისურ ენას, საატესტატო გამოცდაზე ათიანი მიიღო, მეათე კლასიდან მიზნად დაისახა, ჩაებარებინა საავიაციოზე, ამბობდა, თუ მოვხვდები იქ, გავაგრძელებ სწავლას, თუ არადა, სხვა არაფერი მაინტერესებსო. მჯერა, რატი, კიდევ უფრო დიდ წარმატებას მიაღწევს და გვასახელებს.“*

**მაია სუარიძე**, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი: *„რატიმ, ნამდვილად დაამტკიცა, მესხი სწავლით რომ არის ქებული. მას ინგლისური ენის მაღალ დონეზე ცოდნა სჭირდებოდა. გამოცდაზე არგუმენტირებული ესე დაწერა, რომელიც ყველაზე მაღალი ქულით ფასდებოდა და მიიღო კიდეც უმაღლესი შეფასება. მიხარია, რომ პატარა მარცვალი ამ წარმატებაში მეც ჩავდე. რატი თავმდაბალი და მოკრძალებული ადამიანია. მჯერა, ძალიან წარმატებული ქართველი გახდება.“*



განათლება უცხოეთში

# ბრიტანული კერძო სკოლის ჩამოყალიბების ისტორია და ეპოქალური ცვლილებები

> *„თეორიულად ყველა ინგლისელი ბავშვი ამა თუ იმ ფორმით იღებს საშუალო განათლებას... საჯარო სკოლა იღებს ნაკლებად ნიჭიერ ბავშვებს, რომლებიც იქ რჩებიან 16 წლამდე. რის შემდეგაც მიდიან სამუშაოდ წარმოებაში. ტექნიკური სკოლები აშკარად უფრო მეტ კვალიფიციურ მექანიკოსს ზრდიან, ვიდრე ოქსფორდის პროფესორს. რაც შეეხება კლასიკურ განათლებას, დამოუკიდებელი სკოლები და გიმნაზიები საუკეთესო მოსწავლეებსა და მასწავლებლებს ერთმანეთს შორის იყოფენ.“* – ენ ლოურენსი

ბრიტანული კერძო სკოლა თანამედროვე ევროპული განათლების ეტალონია. იგი ერთგვარი სახეა იმ სოციოკულტურული ცვლილებებისა, რომელიც მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე განვითარდა „ნისლიან ალბიონში“. თავისი არსებობის განმავლობაში სახელმწიფოს არ განუცდია ფართომასშტაბიანი შინაგანი თუ გარეგანი რყევები. გაერთიანებული სამეფოს კულტურული და პოლიტიკური გავლენები მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა არა მარტო კუთვნილი ტერიტორიების, არამედ მთელი ევროპის ბედს.

პირველი სასწავლო დაწესებულებები, დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე, გენდერული პრინციპით დაკომპლექტებულ სადღეღამისო ცენტრებს წარმოადგენდა, რომლებიც სამონასტრო კომპლექსების საზღვრებში იყო განთავსებული. 597 წელს დაფუძნდა კენტერბერის სამეფო სკოლა – „Kings School“, ბენედიქტელი ბერისა და ინგლისის ეკლესიის დამაარსებლის – ავგუსტინე კენტერბერიელის მიერ. მოგვიანებით, გაიხსნა სკოლები როჩესტერში (604წ), იორკში (627წ), სეთფორდის გიმნაზია (631წ).

970 წელს კემბრიჯშირის საგრაფოში, ქალაქ ილში, დაარსდა „Kings Elly“-ის სამონასტრო სკოლა, სადაც ამზადებდნენ მომღერლებს კათედრალისთვის; მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ბიჭები რელიგიურ ღონისძიებებში მონაწილეობდნენ. XII საუკუნიდან რომის პაპის დადგენილების შესაბამისად, მოზარდებისთვის ცოდნის უსასყიდლოდ მიცემა ბენედიქტელ ბერებს დაევალა.

XV საუკუნიდან ბრიტანეთი ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფო გახდა. იგი სწრაფად რეაგირებდა მსოფლიოში მიმდინარე როგორც პოლიტიკურ-ეკონომიკურ, ასევე კულტურულ ცვლილებებზე. ბრიტანეთი, ხშირად, თავად იდგა მოვლენათა ეპიცენტრში. ტრადიციული ფასეულობებისადმი ურყევი პატივისცემის მიუხედავად, გაერთიანებული სამეფოს განათლების სისტემა არაერთი ნოვატორული იდეის ფუძემდებელი გახდა. ამ პერიოდში, მთავარი მოთხოვნა იყო ე.წ. „კუნთმაგარი ქრისტიანების“ აღზრდა, რომელთაც სულიერთან ერთად, ფიზიკური სიმტკიცეც მოეთხოვებოდა. ახალგაზრდები პანსიონის ტიპის საცხოვრებელში ცხოვრობდნენ; ასკეტურად მოწყობილი ოთახები ეკლესია-მონასტრების ტერიტორიაზე მდებარეობდა. მეცადინეობასა და წესრიგზე ზედამხედველობას სასულიერო პირები ახდენდნენ. დასაწყისში სწავლა საქველმოქმედო იყო.

კოლონიზაციის პერიოდში სკოლა-პანსიონების პრაქტიკამ განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა; სხვა კონტინენტებზე ადმინისტრაციულ სამსახურებში გაგზავნილი კეთილშობილი ოჯახების უფროსებს სურდათ, მემკვიდრეები საიმედო და ტრადიციულ გარემოში დაეტოვებინათ. მათი შვილების გვერდით შეძლებული უცხოელი თანაკლასელები სწავლობდნენ, რომელთა მთავარი მიზანი კლასიკური ევროპული განათლების შეძენა, ინგლისური ენის სრულყოფილად დაუფლება და ახალ გარემოში ინტეგრაცია იყო. მიუხედავად გადასახადის სიდიდისა, პრინციპი – „კარგი ყოველთვის ძვირია“ ამართლებდა სწავლების მაღალ საფასურს.

1868 წელს, „კერძო სკოლების აქტის“ თანახმად, 7 სკოლას მიენიჭა დამოუკიდებლობა სახელმწიფო მმართველობისაგან, რაც ამავდროულად, აღნიშნულ სკოლებს ათავისუფლებდა სამეფო კარისა და ეკლესიის წინაშე არსებული ფინანსური ვალდებულებებისგან. სიაში აღმოჩნდნენ: ჩარტერჰაუზის, იტონის, ჰაროუს, რაგბის, შრიუსბერის, ვესტმინსტერის, ვინჩესტერის სკოლები.

XVII-XIX საუკუნიდან აღზრდის კონცეფცია შეიცვალა და განათლების მთავარ პრიორიტეტად გადაიქცა ხასიათის „ჯენტლმენური“ საწყისების ფორმირება. ელიტარულ სასწავლებლებში აღზრდილი ვაჟები გამოირჩეოდნენ დახვეწილი მანერებით, მაღალი ინტელექტი ჰარმონიულად უნდა ყოფილიყო შერწყმული ახალგაზრდის ფიზიკურ შესაძლებლობებთან. არისტოკრატული ოჯახების დიდი ნაწილი, შვილებისთვის პედაგოგთა შინ მიწვევას, კერძო სკოლებში სწავლებას ამჯობინებდა. თანდათან, საქველმოქმედო საწყისებიდან, განათლების მიწოდება კომერციულ საქმიანობად გადაიქცა.

მეცხრამეტე საუკუნეში განათლების სისტემის რეფორმების ავტორი გახლდათ თომას არნოლდი (1795-1842 წწ), ინგლისელი ისტორიკოსი და განმანათლებელი, ქ. რაგბის სკოლის ხელმძღვანელი. მან პირველმა აღნიშნა სასკოლო კურიკულუმში ფიზიკური სწავლების ჩართვის აუცილებლობა. გადმოცემის თანახმად, 1832 წლის 7 აპრილს, სწორედ ამ სკოლის მოსწავლემ, 16 წლის უილიამ უებ ელისმა დასტაცა ბურთს ხელი, ფეხბურთის თამაშის დროს, და მოწინააღმდეგის კარისკენ გაიქცა. ზოგი ისტორიკოსი ამ დღეს სპორტული თამაშის – „რაგბის“ დაბადების თარიღად მოიხსენიებს; მთავარ ჯილდოს, მსოფლიო თასს კი, „ელისი“ ეწოდა.

აპინგემის ვაჟთა სკოლის ხელმძღვანელმა წამოაყენა მოსაზრება, რომ ყველა ბიჭი რაღაცით მაინც იყო გამორჩეული თანატოლებისაგან. მოზარდის განსაკუთრებულობა მოითხოვდა მასზე მორგებულ პროგრამას, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა მოსწავლის ინდივიდუალიზმი, როგორც მისი ფიზიკური და ბიოლოგიური, ასევე გონებრივი პოტენციალი, ნიჭიერება და მისი მიდრეკილებები.

1870 წელს შეიქმნა პირველი სახელმწიფო დაფინანსების მქონე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები. დღის წესრიგში დადგა გოგონათა და ვაჟთა კონტინგენტის ჯგუფების ერთ შენობაში განთავსება, რამაც შერეული კლასების შექმნა გამოიწვია. ახალმა მიდგომამ მნიშვნელოვნად შეცვალა იმ ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა, რომლებიც ასკეტურ პირობებში იზრდებოდნენ, მონაზვნებთან ერთად. მიუხედავად იმისა, რომ კურსდამთავრებულები გამოირჩეოდნენ კარგი განათლებით, დისციპლინით, ხელსაქმის ცოდნით, სუსტი სქესის ბევრი წარმომადგენელი აღწერდა, მეთვალყურეთა და მასწავლებელთა მხრიდან, აგრესიულ და ზედმეტად მკაცრ დამოკიდებულებას. თანამედროვე ბრიტანეთში სკოლების ორივე სქესის თანასწორუფლებიანობისა და ინტეგრირების სტილით მოწყობის მიუხედავად, გენდერული პრინციპით დიფერენცირებული სკოლები ამ ქვეყნის კულტურის განუყოფელი ნაწილია.

გვიან ვიქტორიანულ ეპოქაში კერძო სასწავლებლების როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვნად გაიზარდა, რამაც ამ ტიპის სასწავლებლებში მოხვედრის მსურველთა კონტინგენტის რიცხობრივი მატება და, ამავდროულად, მათი პოლიმორფულობა განაპირობა. შეიცვალა სკოლების სპეციალიზაციაც, განათლების მიწოდების ფორმატი და სტილი.

არჩევანი უფრო მრავალფეროვანი გახდა, თუმცა, საშუალო განათლების სისტემაში კვლავ ლიდერობდნენ ელიტარული ფასიანი კერძო სკოლები და უფასო გიმნაზიები. 1944 წელს შემოღებულ იქნა გამოცდა „11+“, რომლის წარმატებით ჩასაბარებლად საკმარისი არ იყო დასაწყის კლასებში მიღებული სტანდარტული ცოდნა, 11 წლის ზევით მონაწილეს უნდა გამოევლინა მაღალი ინტელექტი, კრიტიკული აზროვნება და განსაკუთრებული შესაძლებლობები. მკაცრი შერჩევის პირობებში, აპლიკანტების მხოლოდ სამი მეოთხედი ახერხებდა დადებითი შეფასების მიღებას.

განათლების სისტემაში გატარებული რეფორმების მიუხედავად, მაინც ვერ მოხერხდა კერძო და საჯარო სკოლებს შორის სასწავლო პროცესის ხარისხში არსებული ნაპრალის ამოვსება. ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებებმა, მხოლოდ რამდენიმე ათეული წლის მანძილზე განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების ფონზე, განიცადა არსებითი ცვლილება. დღესდღეობით, ითვლება, რომ ზოგადად, სწავლების ხარისხი ფასიან და უფასო სკოლებში თანაბარია, თუმცა, ფინანსური უპირატესობა, კერძო სკოლების შემთხვევაში, საშუალებას აძლევს დამოუკიდებელი სექტორის მოსწავლეებს მეცნიერული დისციპლინები, ხელოვნება და სპორტი უფრო ფართო და გაღრმავებული კურსით შეისწავლონ.

მეოცე საუკუნის ბრიტანეთის საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე მოვლენების აღწერისას პროფესორი და მკვლევარი, ენ ლოურენსი წერდა: *„თეორიულად ყველა ინგლისელი ბავშვი ამა თუ იმ ფორმით იღებს საშუალო განათლებას. თავისი შესაძლებლობებისა და მიდრეკილებების მიხედვით დადიან გიმნაზიაში, ზოგადსაგანმანათლებლო და ტექნიკურ სკოლებში... საჯარო სკოლა იღებს ნაკლებად ნიჭიერ ბავშვებს, რომლებიც იქ რჩებიან 16 წლამდე. რის შემდეგაც მიდიან სამუშაოდ წარმოებაში. ტექნიკური სკოლები აშკარად უფრო მეტ კვალიფიციურ მექანიკოსს ზრდიან, ვიდრე ოქსფორდის პროფესორს. რაც შეეხება კლასიკურ განათლებას, დამოუკიდებელი სკოლები და გიმნაზიები საუკეთესო მოსწავლეებსა და მასწავლებლებს ერთმანეთს შორის იყოფენ.“*

სწავლების ბრიტანული სისტემის ადგილობრივი მოდელები ყურადსაღებია როგორც თავისი სტრუქტურული თავისებურებების, ასევე სტაბილური რეიტინგის თვალსაზრისით. დიდი ბრიტანეთი მაგნიტივით იზიდავს კარიერაზე და წარმატებულ მომავალზე ორიენტირებულ ყველაზე ამბიციურ ახალგაზრდებს, ელიტარული ოჯახების შვილებს, ბიზნესისა და ხელოვნების სფეროს, დინასტიური კლანების წარმომადგენლებს და უბრალოდ მათ, ვისაც საუკეთესო განათლების მიღება სურთ.

საუკუნეების მანძილზე განათლება კეთილშობილი გვარის წარმომადგენელთა უპირატესობა იყო; მოგვიანებით, მათ გვერდით გამოჩნდნენ მდიდარი ოჯახების მემკვიდრეები ბრიტანეთის იმპერიის კოლონიებიდან, მეგობარი სახელმწიფოებიდან.

პოლიტიკური ამინდის ცვლილებამ საჭირო გახადა განათლების სისტემის რიგიდული წყობის შეცვლა, რათა გაადვილებულიყო სწავლის მსურველთა ახალი ნაკადის ინტეგრაცია არსებულ გარემოში. ბრიტანული სასწავლო დაწესებულებების ხელმძღვანელები ეცნობოდნენ სიახლეებს და ცვლილებებს პოლიტიკისა და სოციოკულტურული სივრციდან. საჭიროებისამებრ, იხვეწებოდა ინფორმაციისა და ცოდნის მიწოდების მეთოდები: იფილტრებოდა არასასურველი და რჩებოდა მხოლოდ საუკეთესო იდეები. საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას ამოსავალი წერტილი კერძო სექტორის მუდმივი თვითგანვითარება და, იმავდროულად, სისტემის ურყეობა იყო.

**მარიამ ქუთათელაძე**
*ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლის „XXI საუკუნე“ დირექტორი*








გამოცდილება

# სწავლა მომაბეზრებელ რუტინად რომ არ იქცეს

ნებისმიერ მოსწავლეს რომ ვკითხოთ, რას ფიქრობს სწავლაზე, გვიპასუხებს, რომ მისი სურვილია, სწავლა გახდეს უფრო საინტერესო და სახალისო. სწავლის პროცესი მომაბეზრებელ რუტინად რომ არ გადაიქცეს და ცოდნის მიღება – იძულებად, ამისთვის ბევრი რამ შეიძლება გაკეთდეს. ბავშვებს რომ ამ პროცესით ტკბობის სიამოვნება არ დავუკარგოთ, უფრო დავაინტერესოთ და, ამავდროულად, სწავლების მიზანსაც მივაღწიოთ, გთავაზობთ ჩვენ მიერ ჩატარებულ ერთ აქტივობას – ეს გახლავთ ვიქტორინა-კონკურსი, რომელშიც მოსწავლეები ერთმანეთს ეჯიბრებიან იმ ცოდნის წარმოჩენაში, რომელიც შეიძინეს, ერთი წლის განმავლობაში, ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე. ეს აქტივობა შეიძლება გამოყენებული იყოს გარკვეული თემის ან წლის განმავლობაში გავლილი მასალის შეჯამებისას... ყველა კლასში შეიძლება მსგავსი რამის გაკეთება. ამჯერად გთავაზობთ მე-5 კლასებში ჩატარებული ვიქტორინა-კონკურსის აღწერას, რომელიც შეიძლება გამოადგეთ იმ მასწავლებლებს, რომლებიც მე-5 კლასებს ასწავლიან ნათელა მაღლაკელიძის სახელმძღვანელოთი.

პირველი კონკურსი წლის განმავლობაში შესწავლილი გრამატიკული მასალის პრაქტიკულად გამოყენების უნარს ამოწმებს – მოსწავლეებს ვთავაზობთ ტექსტს რედაქტირებისათვის. 3 წუთის განმავლობაში, მათ უნდა იპოვონ დაშვებული ათი შეცდომა (სინტაქსური, მორფოლოგიური, ორთოგრაფიული, პუნქტუაციური) და გაასწორონ, დასვან სასვენი ნიშნებიც, სადაც საჭიროა.

ტექსტი ამგვარი სახისაა: *გუშინწინ წვიმიანი დღე იყო. სიცოცხლით აღსავსე დედაჩემი წ ი ფ ე ლ ი ს (წიფლის) გვერდზე იდგა და გ ე მ რ ი ე ლ ა თ (გემრიელად) იცოხნებოდა. ხშირი ფოთლებიდან წვიმის ნამი კამკამით ჩამოდიოდა. მე თავს ვუშვერდი, რომ სასიამოვნო წვეთებს გავეგრილებინე.*

*არ გიამა (,) შვილო? – მკითხავდა დედა. მე თავს ვუქნევდი და ვხტოდი.*

*ჩ ვ ე ნ ს (ჩვენ) წინ ხმელ ხეს გარშემო კოდალა ევლებოდა და ისე მ ა გ რ ა თ (მაგრად) უკაკუნებდა, რომ მიკვირდა, – დედაჩემი ამოდენაა და არ შეუძლია ტყის ეგრე გახმაურება, როგორც ამ პატარა ჩ ი ტ ს-თ ქ ო (ჩიტს-მეთქი). კ ო დ ა ლ ი ს (კოდალას) ცელქობას მე სიხარულით შევყურებდი. უცებ ,,ჩხი!ჩხი!' მომესმა. მივიხედე გ ვ ე რ ძ ე (გვერდზე): თავზე ერთი ჩხიკვი გვევლებოდა. დ ე დ ა-ჩ ე მ ი (დედაჩემი) იგერიებდა თავით ამ საძაგელს. ჩხიკვი ჩ ე მ ს კ ე ნ ( ჩემკენ) იწევდა.*

შემდეგ კონკურსში მოსწავლეებს ვთავაზობთ ციტატას ამა თუ იმ შესწავლილი ნაწარმოებიდან. გუნდებმა უნდა გამოიცნონ ციტატის ავტორი და ნაწარმოები, საიდანაცაა იგი ამოღებული:

1) *„ულმერთოდ, რაც უნდა ეცადო, ვერაფერს მოაწყობ!“* (პასუხი: აკაკი წერეთელი – „ჩემი თავგადასავალი“, „მშობლებთან“);
2) *„საყოველთაო ზავი და მშვიდობა არ არის სისულელე, იგი ოდესმე უნდა დამყარდეს.“* (პასუხი: ფელიქს ზალტენი – „ბემბი“);
3) *„მცენარის თესლს ზემოთ ამოიყვანს ხოლმე გამაცოცხლებელი მზის სითბო-სინათლე.“* (პასუხი: იაკობ გოგებაშვილი – „იავნანამ რა ჰქმნა?!“);
4) *„ვინც ფერდობში ხესა ჭრის, საკუთარი შვილის კუბოს აკეთებს.“* (პასუხი: მუხრან მაჭავარიანი – „საკუთარი სიცოცხლის შემოკლება“);
5) *„სულგრძელებითა ძლევა სჯობს ვაჟკაცობითა ძლევასა.“* (პასუხი: ილია ჭავჭავაძე – „დამაკვირდი“);
6) *„უვიცობას და სიღარიბეს უნდა ვებრძოლოთ ისეთივე მხნეობით და თავგამოდებით, როგორითაც ებრძოდნენ ჩვენი წინაპარნი გარეშე მტრებსა.“* (პასუხი: იაკობ გოგებაშვილი – „თავდადებული მღვდელი თევდორე“);
7) *„რასაცა გასცემ – შენია, რას არა – დაკარგულია.“* (პასუხი: შოთა რუსთაველი – „ვეფხისტყაოსანი“);
8) *„დაცვა ბუნებისა გარკვეულწილად დედაენის დაცვაა.“* (პასუხი: მუხრან მაჭავარიანი – „საკუთარი სიცოცხლის შემოკლება“);
9) *„სიმდიდრეც შეიძლება ადრე დაჰკარგოს ადამიანმა, სილამაზესაც მოაკლდეს, ნათესავებიც უდროოდ დამარხოს, მაგრამ მოსიყვარულე გული კი ათბობს, ანათებს მთელ მის სიცოცხლეს თვით სამარის კარამდის.“* (პასუხი: იაკობ გოგებაშვილი – „იავნანამ რა ჰქმნა?!“);
10) *„ყოველივე კეთილი სიცოცხლეში ქმნას სჯობსო და სიკეთის ქმნას დაეშუროსო.“* (პასუხი: სულხან-საბა ორბელიანი – „მეფე და მისი შვილი“).

მოსწავლეებისთვის საინტერესოა შესწავლილი ნაწარმოების პერსონაჟის ამოცნობა სიტყვიერი პორტრეტით:

1) ეს გმირი მუდამდღე თავის სილატაკეზე წუხს, ბედს ემდურის, სხვისი ნაჩუქარი ფულიც არ ჩერდება მასთან, ვერა და ვერ დააღწია სილატაკეს თავი, სანამ თავისი ნაოფლარით არ დაიწყო ცხოვრება (პასუხი: ღატაკი კაცი – ხალხური ზღაპრიდან „ბედი და იღბალი“);
2) ამ გმირს ბევრი მაქებარი ჰყავს და ბევრი მაგინებელი, ზოგი მის დასჯას ითხოვს, ზოგიც – მის გაბედნიერებას. მისი ხელობა ძალიან ჰგავს მწერლის ხელობას (პასუხი: მესარკე – აკაკი წერეთლის ამავე სახელწოდების ნაწარმოებიდან);
3) იგი წერა-კითხვის მცოდნეა, მრავალი დიდი წიგნი აქვს წაკითხული, თავისი რჯულის წმინდა წიგნი თითქმის ზეპირად იცის, მამაცია, ლამაზია, უკადრებელს არ იკადრებს და ამიტომაც სჯიან (პასუხი: ხორასნელი ჭაბუკი – რევაზ ინანიშვილის ამავე სახელწოდების მოთხრობიდან);
4) ამ პერსონაჟმა ყველა გააოცა თავისი უცნაური საქციელით, თუმცა ამით დაეხმარა სხვას და გადაწყვეტილება სასიკეთოდ შეაცვლევინა (პასუხი: უფლისწული – სულხან-საბა ორბელიანის იგავიდან „მეფე და მისი შვილი“);
5) ეს პერსონაჟი ხუმარაა, ხალისიანი, უსულო საგნებთან საუბრობს კიდეც, მოხუცს პატივს სცემს და მისი ხათრით აკეთებს იმას, რისიც თვითონ არ სჯერა (პასუხი: ბიჭი – ნოდარ დუმბაძის მოთხრობიდან „ხაზარულა“).

ბავშვების ლექსიკური მარაგის შემოწმება-გამდიდრებისათვის საინტერესოა შემდეგი კონკურსებიც:

**განმარტეთ სიტყვები:**

1) *ტაფობი* – ჩავარდნილი ადგილი მთებს შორის;
2) *ყისინა* – უხეში ქსოვილის უსახელო წამოსასხამი;
3) *კარაპანი* – სახლის უკედლო დერეფანი;
4) *ყაბახი* – ადგილი, სადაც იმართებოდა ჯირითი და ნიშანში სროლა;
5) *ქულაჯა* – მამაკაცის ზედა ტანსაცმელი;
6) *არჯაკელი* – მთის ბალახი;
7) *დგნალი* – ტირიფის მსგავსი ხე;
8) *ხმიადი* – უსაფუვროდ გამომცხვარი პური;
9) *ამილახორი* – მეჯინიბეთუხუცესი;
10) *მუშაითი* – ჯამბაზი.

**განმარტეთ იდიომები:**

1) *სახტად დარჩა* – გაოცდა;
2) *ენა უჭრის* – კარგი მოსაუბრეა;
3) *თვალში ამოიღო* – გადაემტერა;
4) *ხელს უმართავს* – ეხმარება;
5) *თადარიგს შეუდგა* – მზადება დაიწყო;
6) *თვალს წყალი დაალევინა* – გაერთო;
7) *ჯორზე შეჯდა* – გაჯიუტდა;
8) *თავი მოიკატუნა* – თავი მოისაწყლა, თავი მიამიტად მოაჩვენა;
9) *გული საგულეში აქვს* – მშვიდადაა;
10) *აინუნშიც არ მოსდის* – არაფრად აგდებს.

შემდეგი კონკურსი, ლიტერატურის ცოდნასთან ერთად, მოსწავლეთა შემოქმედებითობის შეფასებისათვისაც გამოგვადგება – მოსწავლეებმა უნდა წარმოადგინონ რომელიმე გმირის იმიტაცია, სხვებმა კი უნდა გამოიცნონ მხოლოდ პანტომიმის საშუალებით განსახიერებული პერსონაჟი და ისიც, თუ რომელი ნაწარმოებიდანაა იგი.

შემოქმედ მოსწავლეებს გამოავლენს შემდეგი კონკურსიც: – გარკვეული დროის განმავლობაში ბავშვების მიერვე შერჩეული ნორჩი მხატვარი დახატავს მის მიერ შერჩეულ ეპიზოდს ვაჟა-ფშაველას „შვლის ნუკრის ნაამბობიდან“.

მოსწავლეები შეიძლება ერთმანეთს შევაჯიბროთ რომელიმე შესწავლილი ლექსის (მათ მიერვე შერჩეული) მხატვრულ კითხვაში.

დაბოლოს, გუნდების კაპიტნებს ვთავაზობთ ინფორმაციას ამა თუ იმ მწერლის შესახებ, მათ უნდა ამოიცნონ, რომელ მწერალზეა საუბარი:

1) ამ მწერალს სიცოცხლეზე მეტად უყვარდა საქართველო, მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მის სამსახურში გალია და მის სიყვარულს შეეწირა კიდეც. იგი ათი წლის ასაკში დაობლდა დედით, ზრდიდა მამიდა, რამდენიმე წელში მამაც გარდაეცვალა. სიკვდილიდან კარგა ხნის შემდეგ წმინდანად შერაცხეს (პასუხი: ილია ჭავჭავაძე);
2) ამ მწერალს ჩვენ ფსევდონიმით ვიცნობთ, ეძახიან „ბუნების მგოსანსაც“. თავისი ნაწარმოებებით ბუნების თითოეული შვილის, სულიერისა თუ უსულოს, სიყვარულს გვასწავლის. თავდაპირველად, დიდუბის პანთეონში დაკრძალეს, წლების შემდეგ კი მთაწმინდაზე გადაასვენეს (პასუხი: ვაჟა-ფშაველა);
3) ის არა მარტო მწერალი და პოეტი იყო, არამედ ცნობილი რეჟისორიც, რომელსაც არაერთი მოკლე და სრულმეტრაჟიანი ფილმი აქვს გადაღებული. მეოცე საუკუნეში დაიბადა და ოცდამეერთეში გარდაიცვალა. დაკრძალულია ერთ-ერთი ტაძრის ეზოში (პასუხი: გოდერძი ჩოხელი);
4) ამ მწერალმა ქართველებიც გააოცა და უცხოელებიც: ქართველები – თავისი უცნაური და მოულოდნელი გადაწყვეტილებით, უცხოელები კი – უწყინარი ტყუილით (პასუხი: ალექსანდრე ყაზბეგი);
5) ეს მწერალი იმ ტრადიციის მიხედვით აღზარდეს, რომელსაც თავად დიდ პატივს სცემდა და ამბობდა, რომ სწორედ ამის შედეგი იყო მისი შინაგანი სიკეთე და კეთილშობილება (პასუხი: აკაკი წერეთელი).

საკონკურსო მზადებაში მოსწავლეთა აქტიური ჩართვა ამ აქტივობის პოზიტიურ ეფექტს ადასტურებს. იგი გვაძლევს საშუალებას, გავცდეთ ტრაფარეტული გაკვეთილების ჩარჩოებს. ამგვარი აქტივობები გვეხმარება, რომ განვლილი მასალის გამეორება მოსაწყენი და მოსაბეზრებელი არ გახდეს მოსწავლეთათვის. ჩვენ შემთხვევაში, ამ საინტერესო გამოცდილებამ გაამართლა, კონკურსის დასრულების შემდეგ მოსწავლეთა კმაყოფილებითა და სიხარულით სავსე სახეებმა გაგვათამამა და გვიბიძგა, რომ ეს პრაქტიკული გამოცდილება მასწავლებლებისთვის, კოლეგებისთვის გაგვეზიარებინა.

ლეილა ხონელიძე,
ლელა ქვარცხავა
*სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ფოთის №5 სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები*

ინფორმაცია

# მედიატექნოლოგიების ახალი ლაბორატორია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინროეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მედიატექნოლოგიების ლაბორატორია და სტუდენტური ტელევიზია „სტუსტარი“ გაიხსნა. ლაბორატორიის ფარგლებში, სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებს და ყველა დაინტერესებულ პირს, სასწავლო პროცესის პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებასთან ერთად, საშუალება ეძლევა, შექმნას მედიაბაზრისთვის (და არა მარტო) მოთხოვნადი პროდუქტები.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ლაბორატორიაში დამონტაჟებულია მსოფლიო დონის 3D სტერეოსკოპული აგრეგატი (Rig), რომელიც ინჟინერ-გამომგონებელმა, **ზაზა ლომიძემ**, რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, შექმნა.

თანამედროვე ლაბორატორია და ახალი სასწავლო პროგრამები ეს ის სიახლეა, რომელიც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებს დიდი ჟურნალისტიკისკენ გაუკვლევს გზას. მალე „სტუსტარი“ თავის გადამწყვეტ სიტყვას იტყვის.

**ალექსანდრე ჯეჯელავა**, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი: *„ვხსნით ახალ, ძალიან საინტერესო პროგრამას მედიის მიმართულებით, რომელიც მედიისა და ტექნოლოგიების თანაკვეთაზეა. ამ პროგრამას ახალ მედიასთანაც ექნება კავშირი და ტრადიციულ მედიასთანაც. ძალიან სასიხარულოა, რომ ტექნიკური უნივერსიტეტი, როგორც ისტორიულად იყო ტექნიკური საგნების სწავლებისა და ინოვაციების დანერგვის ავანგარდში, დღესაც რჩება და ამართლებს თავის რეპუტაციას. ძალიან მნიშვნელოვანია მთავრობის კურსი – ქართველ სტუდენტებს საქართველოში ჰქონდეთ საერთაშორისო ხარისხის განათლების მიღების საშუალება. ეს პროგრამა სწორედ ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯია და სასიხარულოა, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელთან და სხვა ტელევიზიებთან იგეგმება თანამშრომლობა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიც პარტნიორია ამ ერთობლივ წამოწყებაში. ჩვენ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, რა თქმა უნდა, მხარს დავუჭერთ მის განვითარებას. საბოლოო მიზანია, ამ პროგრამებიდან მივიღოთ მაღალი კვლიფიკაციის პერსონალი მედიის სფეროში.“*

**არჩილ ფრანგიშვილი**, ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი: *„დღეს ტექნიკურ უნივერსიტეტში გაიხსნა მედიატექნოლოგიების ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია ულტრათანამედროვე აპარატურით. მნიშვნელოვანია, რომ ეს ლაბორატორია ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფილია მხოლოდ და მხოლოდ სტუდენტებით.*

*რა არის ამ ლაბორატორიის მთავარი სიახლე? ის, რომ სოფტი, აპლიკაციები, ყველაფერი, რაც ამ ტექნოლოგიებში იგულისხმება, კეთდება ადგილზე, ჩვენი სტუდენტების მიერ. ეს მულტიდისციპლინარული პროგრამაა და აქ მხოლოდ მედიასპეციალისტები არ არიან, ჩართული არიან, ასევე, ინფორმატიკისა და სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტები, ვისაც ეს მიმართულება აინტერესებს.“*

# ქართველი სტუდენტების წარმატება

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (თსსუ) დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის პირველი მიღების სტუდენტებმა, ამერიკის შეერთებული შტატების სამედიცინო სალიცენზიო გამოცდების (USMLE) პირველი ეტაპი წარმატებით ჩააბარეს. დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დასრულების შემდეგ, ეს შედეგი მათ არჩეული სპეციალობით, აშშ-ში რეზიდენტურაში სწავლის გაგრძელებაში დაეხმარება.

თსსუ-ში სამედიცინო კადრი ემორის (აშშ) სამედიცინო სკოლის მოთხოვნილებათა და საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვის გლობალური სტანდარტების შესაბამისად მზადდება. პროგრამის წარმატებით განხორციელების საფუძველია: ემორის (აშშ) სამედიცინო სკოლის ადმინისტრაციისა და პროფესურის აქტიური მონაწილეობა და მუდმივმა თანადგომა; თსსუ-ს პერსონალისა და ემორის სპეციალისტთა გაცვლითი პროგრამები; თსსუ-ს მაღალპროფესიული აკადემიური პერსონალი, რომელთაც უცხოელ სტუდენტთათვის ინგლისურ ენაზე მედიცინის სწავლების 20 წელზე მეტი გამოცდილება აქვთ.



პროფესია პედაგოგი

# ქეთინო მასწავლებელი



საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხეა თიანეთი. ამ რაიონის სკოლებში უამრავი ღვაწლმოსილი პედაგოგი ემსახურება ახალგაზრდობის აღზრდას. ერთ-ერთი მათგანი ქეთინო მასწავლებელია – **ქეთევან ბელანაშვილი**.

ქეთევანი დაწყებითების პედაგოგია. აქ ეყრება საფუძველი ბავშვის კომპლექსურად ჩამოყალიბებას. მისი ყოველი დილა ბავშვზე ზრუნვით იწყება. იხარჯება ბოლომდე, ბავშვებსაც ძალიან უყვართ თავიანთი მასწავლებელი.

დაიბადა ახმეტაში. პატარაობიდანვე შეისისხლხორცა წიგნის სამყარო, შეიძინა ჩვევები, რაც აუცილებელია პედაგოგისთვის. ქეთევანის დედა ღვაწლმოსილი პედაგოგი იყო, წლების მანძილზე მოღვაწეობდა რაფიელ ერისთავის სახელობის ქისტაურის სკოლაში, მამას სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი ჰქონდა დამთავრებული. მათ ოჯახში უმდიდრესი ბიბლიოთეკა იყო. ქეთევანმა დაამთავრა თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი დაწყებითი განათლების სპეციალობით, შემდეგ შექმნა ოჯახი თიანეთის დაბა სიონში მცხოვრებ ექიმ ჯემალ ზარიძესთან ერთად. ჰყავთ ორი შვილი და სამი შვილიშვილი. ბატონი ჯემალი შესანიშნავი ექიმია, რამდენიმე სოფელს ემსახურება.

ქეთევან ბელანაშვილის პედაგოგიური მოღვაწეობა 1986 წლიდან დაიწყო თიანეთის რაიონის დაბა სიონის სკოლაში, დაწყებით ჯგუფებში. ცდილობს ბავშვებს გააცნოს მშობლიური კუთხის და ქვეყნის ისტორია, ხშირად დაჰყავს ექსკურსიებზე. ყოველი მარტის თვე დათმობილი აქვს ანბანთზეიმს. მასწავლებელი თვითონ არის საუკეთესო მაგალითი, თავისი ცხოვრებით, არა მარტო პატარებისთვის, არამედ ახალბედა პედაგოგებისთვის. ოცდაათი წლის მანძილზე რამდენიმე თაობამ გაიარა მის ხელში. როცა ფეხადგმული, დავაჟკაცებული მისი აღზრდილები ხვდებიან და სიყვარულით მოიკითხავენ, სიამაყით ივსება, თითოეულის წარმატებით ხარობს.

უკვე სამი წელია, ქეთინო მასწავლებელი სოფელ ბოჭორმის სკოლაში მოღვაწეობს. ეს დრო საკმარისი აღმოჩნა, რომ გამოცდილ, თავის საქმეზე შეყვარებულ პედაგოგს მოსწავლეებისა და მათი მშობლების, კოლეგების პატივისცემა დამსახურებულად მოეპოვებინა.

მარინა ნებიერიძე
*საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრი, პედაგოგი, პოეტი*

# სკოლის მერხიდან – სკოლაში...

ის, ვისზეც დღეს უნდა ვისაუბრო, იმ სკოლის კურსდამთავრებულია, სადაც უკვე 16 წელია ასწავლის და სამაგალითოა ბევრი პედაგოგისთვის, თუმცა, ვშიშობ, რომ სათქმელს ვერ ამოვწურავ.

1998 წელს დაამთავრა ფარის საჯარო სკოლა, იმავე წელს მოეწყო თსუ-ს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სოხუმის უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე, ქართული ენა-ლიტერატურის დაუსწრებელ სექტორზე. ამავე წელს დაოჯახდა. 1999 წლიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მუშაობა ფარის საჯარო სკოლაში დაიწყო, თავდაპირველად მე-5 კლასი ჰყავდა.

*„ადვილი არ ყოფილა, ერთდროულად, მესწავლა და მნიშვნელოვან საქმეს შევჭიდებოდი. პირველი, რაც გავაცნობიერე, ეს იყო, მობარებული მყავდა სხვისი შვილები, რომლებიც ჩემი დახმარებით ცოდნას უნდა დაუფლებოდნენ, სწორედ ამიტომ დღე და ღამე მქონდა გასწორებული, რომ ვინმეს არ ეთქვა, ამან რა უნდა ასწავლოს, გუშინდელმა ბავშვმაო.“* – ამბობს **ეკატერინე წულუკიძე**, ახალგაზრდა, მაგრამ უკვე დიდი გამოცდილების მქონე მასწავლებელი, რომელმაც სკოლის და სოფლის სახელი, როგორც მესტიის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი **დარეჯან ნიგურიანი** ამბობს, სვანეთსა და საქართველოში კი არა, საქართველოს ფარგლებს გარეთ გაიტანა. ის მეგობრობს პოლონეთის, თურქეთის, ტუნისის სკოლებთან.

სკოლის მერხიდან მშობლიურ სკოლაში მოსული გოგონა მალე დედა გახდა. ის უკვე სოფლის კულტურის სახლის დირექტორიც იყო, ამავდროულად სტუდენტიც, მაგრამ ოჯახი ყოველთვის გვერდით ედგა და ეხმარებოდა სირთულეების დაძლევაში. დღეს ეკა ოთხი შვილის დედაა, მაგრამ არასოდეს დასტყობია მის პროფესიულ საქმიანობას დიდი ოჯახის დიასახლისობა. პირიქით, ძალიან ბევრი გაოცებულა მისი მიღწევებით. ეკას წარმატებული სასკოლო კარიერა მაგალითია იმ პედაგოგებისთვის, ვინც თავის ვერ რეალიზებას სკოლაში დროის დეფიციტს აბრალებს.

*„რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია ერთმანეთს შეუთავსო ოჯახი და პროფესიული საქმიანობა, მაქვს დიდი ოჯახი, მეურნეობა, მყავს 4 შვილი და მეუღლე. ვცხოვრობ დედამთილ-მამამთილთან, ვერ მოაკლებ ხელს ვერც შვილებს, ვერც დანარჩენ ოჯახის წევრებს. ვერც პიროვნულ და პროფესიულ ზრდაზე ვამბობ უარს. ხელს ვუწყობ შვილებს, მიიღონ კარგი განათლება, სახლშიც პატარა სკოლა მაქვს მოწყობილი.* – ღიმილით ამბობს და დასძენს – *ზოგჯერ ისეთი მოსაწყენია ჩვენთან ყოფნა! მე და ჩემი შვილები შემოვუსხდებით მაგიდას და ვმსჯელობთ სხვადასხვა პროექტებსა და იდეებზე. ჩვენ ძალიან ვეხმარებით ერთმანეთს, თუმცა ეს ყველაფერი საკუთარი ჯანმრთელობის ფასად მიჯდება. არ მაქვს თავისუფალი დრო. საოჯახო საქმიანობის შემდეგ იწყება სამსახურის საქმეები და ხშირად დამთენებია თავზე, როცა მნიშვნელოვან პროექტებზე ვმუშაობ, მაგრამ არ ვნანობ, რადგან ამ ყოველივემ დიდი გამოცდილება შემძინა და ჩემს მოსწავლეებს – დიდი ცოდნა. ისინი ძალიან აქტიურ მოქალაქეებად ყალიბდებიან და მოტივირებულები არიან, გააკეთონ ბევრი სასიკეთო საქმე.“*

მისი სტუდენტობის დასასრული საგანმანათლებლო რეფორმების პერიოდს დაემთხვა: *„თავიდანვე ავიტაცე სიახლეები, ყოველთვის მიმაჩნდა, რომ სკოლაში არსებული გარემო, მეთოდები და მიდგომები არასოდეს იძლეოდა შედეგს და ვცდილობდი, პატარა სახალისო დეტალები დამემატებინა, ხოლო ამ რეფორმებმა დიდი გასაქანი მომცა. 2012-13 წლებში ჩემს თავს დავუსახე ამოცანა, ჩამებარებინა სასერტიფიკაციო გამოცდები, ეს იყო დიდი გამოწვევა და ჩემი შესაძლებლობების შემოწმება.“*

გამოცდებიც წარმატებით ჩააბარა როგორც პროფესიულ უნარებში, ასევე ქართულ ენასა და ლიტერატურაში, I-XII კლასების ჩათვლით. პარალელურად, 2013 წელს, სქემაში ჩაერთო და აქედან დაიწყო მისი პროფესიული ზრდაც.

*„არ შემიძლია, არ აღვნიშნო ctc-ის პროექტის წვლილი ჩემს პიროვნულ განვითარებასა და ზრდაში, რომელმაც შესაძლებლობა მომცა, მათ მიერ მოწყობილ სასწავლო ტურში მიმეღო მონაწილეობა. გავეცანი, როგორ მუშაობდნენ პედაგოგები და მოსწავლეები აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობისათვის. გავაცნობიერე, რომ ეს იყო ის, რაც მე მინდოდა ყოფილიყო ჩემს სკოლაში და, ზოგადად, რეგიონში.“*

ჩამოსვლისთანავე ჩამოაყალიბა სამოქალაქო კლუბი და დაიწყო აქტიური საქმიანობა – 5 საგრანტო კონკურსი და წარმატებული გრანტი! ამ ორგანიზაციის ხელშეწყობით, ჩამოაყალიბა არასამთავრობო ორგანიზაცია „გავაძლიეროთ სოფლად ახალგაზრდები“, რომელიც მუშაობს თემის გაძლიერებასა და ახალგაზრდების დასაქმების მიზნით. ჰქონდა ორი მასშტაბური პროექტი გარემოს დაცვასა და სოფლად ტურისტული პოტენციალის რეალიზებაზე. ამ უკანასკნელმა არნახულ მასშტაბს მიაღწია და რამდენიმე თვეში მოიპოვა წლის მასშტაბური პროექტის და წლის სათავგადასავლო ტურის ნომინაცია.

პარალელურად, სასკოლო საქმიანობაში ახორციელებს როგორც ეროვნული მნიშვნელობის, ასევე საერთაშორისო პროექტებს. 2015 წლიდან ჩართულია eTwininng-ის სასკოლო პროექტებში, რაც გულისხმობს ევროპული სკოლების დამეგობრებას და გამოცდილების გაზიარებას. წელს ეკამ როგორც ეროვნული ხარისხის ნიშანი, ასევე ევროპული ხარისხის ნიშანი მიიღო განხორციელბული პროექტისთვის. წელსვე დააჯილდოვეს ლეპტოპით წარმატებული საქმიანობისთვის.

სამომავლო გეგმებზე არ უყვარს საუბარი, მაგრამ ერთი რამ იცის, რომ აქტიურად გააგრძელებს პროფესიულ საქმიანობას და გეგმავს ცვლილებების შეტანას არსებულ გარემოში. აქვს ერთი მნიშვნელოვანი გეგმა (ჯერ არ ახმოვანებს), რომლის განხორციელების შემთხვევაში, ფიქრობს, მისი ცხოვრება რადიკალურად შეიცვლება.

*„რა განსაზღვრავს ჩემს წარმატებას? პასუხი მარტივია: უბრალოდ მიყვარს სიახლეები, არ შემიძლია ერთ ადგილას გაჩერება და უაზროდ ადგილის ტკეპნა. ვეძებ ახალს და ვიღებ გამოწვევებს. ბევრჯერ არ გამომდის, მაგრამ ფარ-ხმალს არ ვყრი და ასე ვაგრძელებ სვლას. ვიცი, როგორ გავანაწილო დრო და თითოეული წუთი გამოვიყენო სასიკეთოდ.“* – დაასრულა ეკამ საუბარი და ახალი პროექტის დასკვნით ღონისძიებაზეც მიმიწვია. გადავწყვიტე, დავლოდებოდი და კიდევ ერთი წარმატებული პროექტითაც გამეცნო ის ქართველი კოლეგებისთვის.

31 მაისი, ფარი, ლიტერატურული კლუბი „ჯინსების თაობა“. კლუბის შექმნის მიზანი – მოსწავლეებში წიგნიერების და მედიაწიგნიერების დონის ამაღლება, თამაშით სწავლება, არგუმენტირებული მსჯელობის, კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარება.

კრეატიული, ხელნაკეთი დეკორატიული ნივთები მეორადი მასალებისგან, მოსწავლეების ინტერესზე მორგებული ფიზიკური გარემო ნამდვილად ქმნის შეგრძნებას, რომ აქ წიგნები ცოცხლობენ და მხოლოდ ექსპონატებად არ „სხედან“ თაროებზე.

რამდენი შრომა და ენერგიაა ჩადებული: ჯინსის ბალიშები წიგნის გმირების აპლიკაციებით, ჯინსისჩარჩოიანი პანოები, საყვარელი გამონათქვამებით რომ აუჭრელებიათ და დღიურები, ჯინსისყდიანი დღიურები, რომელშიც მოსწავლეებს წაკითხული წიგნების ანალიზი და შთაბეჭდილებები ჩაუწერიათ.

როგორც პრეზენტაციიდან გავიგეთ, წიგნების სამკურნალო პუნქტიც კი შეუქმნიათ და ყველა „ავადმყოფი“ წიგნისთვის უმკურნალიათ.

პრეზენტაციიდანვე შევიტყვეთ, რომ ყოველი ხუთშაბათი წიგნის დღეა, სადაც განიხილება „ლიტერატურული დღიურები“, იგივე მოსწავლეთა ჩანაწერები წაკითხული წიგნების შესახებ. აქვე უყურებენ ფილმებს ან, web2.0 ინსტრუმენტების გამოყენებით, ქმნიან ელექტრონულ წიგნებს.

ვინაიდან წელს „ვეფხისტყაოსნის“ წელია, ღონისძიების პირველი ნაწილი საინტერესო სტუმარს, **ლევან გელაშვილს**, ახალგაზრდა დოქტორანტს და „ვეფხისტყაოსნის“ პირველი სამაგიდო თამაშების ავტორს დაეთმო. მან, მინი-ლექციასთან ერთად, მოსწავლეებს მასტერ კლასიც ჩაუტარა. დასასრულს კი სკოლას საჩუქრად ერთი სამაგიდო თამაში გადასცა. ღონისძიების მეორე ნაწილი შემეცნებით-ინტელექტუალურ თამაშს – „წიგნების თაროს“ წარმოადგენდა, რომელშიც რაიონის სამი სკოლა (ეცერი, ლახამულა, ყარ-სგურიში) და მასპინძელი სკოლა მონაწილეობდნენ. საინტერესო და დაძაბული იყო მეცხრეკლასელთა გუნდების შერკინება.

გამარჯვებული – ფარის საჯარო სკოლის გუნდი „ჯინსების თაობა“ დაჯილდოვდა შპს „დაზგას“ მიერ შექმნილი სპეციალური პრიზით; მეორე ადგილი ლახამულის „ნერგებმა“ დაიკავეს; მესამე – ყარ-სგურიშის „ედელვაისმა“. პროექტი მომავალშიც გაგრძელდება და იმედია, მონაწილეთა რიცხვიც გაიზრდება და გარდამავალი პრიზისთვის მეტი სკოლები იბრძოლებენ! ყველა მონაწილეს, უახლოეს ხანში, დაეგზავნება სპეციალურად შექმნილი სიგელი.

ღონისძიებას, მესტიის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი **დარეჯან ნიგურიანი** ესწრებოდა, ქალბატონი, რომელიც მუდამ მზადაა, ყველა ჯანსაღ წამოწყებას მხარი დაუჭიროს და იამაყოს სვანეთის პედაგოგთა წარმატებებით. ამიტომაც იყო, რომ ოთხივე სკოლის დირექტორი გულწრფელად უხდიდა მადლობას ქალბატონ დარეჯანს.

სტუმრის სტატუსით გახლდათ გაზეთ „ლილეს“ რედაქტორი **ირმა ჯაჭვლიანი**, რომლისთვისაც ფარი მშობლიური სოფელია და ყოველთვის ამაყი და ბედნიერია, როცა საქმე მისი სოფლის წარმატებებს ეხება. ეკას აზრით, და არა მარტო მისი, მასწავლებელი რაც უნდა მოტივირებული და მონდომებული იყოს, ვერაფერს შეძლებს, თუ სკოლაში დირექტორი არ დაუჭერს მხარს. ფარის სკოლის დირექტორი **გულო ვიბლიანი** კი ის ადამიანია, რომელიც ნებისმიერი პედაგოგის ნებისმიერ სასიკეთო წამოწყებას მხარს უჭერს და გვერდში უდგას, კოლექტივთან ერთად. ამის მაგალითად ისიც კმარა, დირექტორ-პედაგოგებიანად რომ აწკრიალებდნენ, თურმე, სტუმრების მისაღებად სკოლას.

არანაკლებ მიხარია და ვამაყობ იმ სოფლის სკოლის მიღწევებით, სადაც წლების წინ მუშაობამ ჩემშიც ნათელი კვალი დატოვა. მადლობას ვუხდი ფარელებს, ყველა სტუმრის სახელით, ამ ლამაზი და საინტერესო დღისთვის.

მრავალი წარმატებული ფურცელი სკოლის მატიანეში!



ლალი მარგიანი
*ლახამულის საჯარო სკოლა*

საუბრები ლიტერატურაზე

# „თოვდა და თბილისს ებურა თალხი“

## კოლაუ ნადირაძის „25 თებერვალი, 1921“

ბავშვებს ვუყვებოდი: ჩემს ბავშვობაში ბიჭები გოგონებს 8 მარტს ყვავილებით გვილოცავდნენ, ჩვენც, შესაბამისად, 23 თებერვალს (წითელი არმიის დღეს), დიდი რუდუნებით, საჩუქრებს ვუკუთებდით ჩვენს თანაკლასელ ბიჭებს-მეთქი. მაინტერესებდა, როგორი იქნებოდა მათი რეაქცია ამ თარიღთან მიმართებით.

– მასწ, საქართველოს გაუბედურების დღეს ულოცავდით ერთმანეთს? – გაკვირვებით მკითხა შავტუხა, ლამაზთვალება ბიჭმა, რომელსაც აღშფოთება და გაკვირვება სახეზე ნათლად ეხატა.

– ჩვენგან დამოუკიდებლად ხდებოდა ეს... სხვა ეპოქა იყო, „ჟამი მეფისტოფელისა“ (გალაკტიონი), რომელმაც „უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები“ (გალაკტიონი), თუმცა ჩვენ გვინერგავდნენ და გვაჯერებდნენ, რომ ამ დღის „წყალობით“ ჩვენმა ქვეყანამ ბედნიერება, თავისუფლება, ნათელი მომავალი მოიპოვა.

– ისტორიას არ კითხულობდით, ასე როგორ გატყუებდნენ? – იკითხა კიდევ უფრო გაკვირვებულმა გოგონამ და მხრები აიჩეჩა.

გამიხარდა... მივხვდი, რომ თავისუფლების განცდა ჩვენს ბავშვებში ღრმად იყო ფესვგადგმული. ამათ ველარ დააჯერებდი იმას, რასაც ჩვენ „გვთავაზობდნენ“. ჩაკეტილი საინფორმაციო ვაკუუმი გარღვეული იყო და მათი გონებაც ტყუილით ველარ მოიწამლებოდა. ვერაფერი ჩაკლავდა ამ ხალას გოგო-ბიჭებში ბედნიერებისა და სიამაყის განცდას.

1921 წლის ავბედით დღეზე უნდა მესაუბრა. კოლაუ ნადირაძის ლექსი ამაში ნამდვილად დამეხმარებოდა... ლექსის ახსნამდე მოსწავლეებს ვაჩვენე ამ დღეებთან დაკავშირებული დოკუმენტური კადრები და ვთხოვე, ორიოდე სიტყვით დაეწერათ ნანახით აღძრული ემოცია. მხოლოდ ამის შემდეგ დავიწყეთ ლექსის კითხვა და ანალიზი.

კოლაუ ნადირაძემ ეს ლექსი 1969 წელს დაწერა. მასში დიდი ტკივილი, სევდა, თავისი თანამოძმეების (პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე...) დაბნეული ქმედებები იკითხება. გენერალ მაზნიაშვილის თხოვნით, „ცისფერყანწელთა“ წარმომადგენლები, არეულობის თავიდან ასაცილებლად, წითელგვარდიელთა გვერდით აღმოჩნდნენ. როგორც ცნობილია, ამ ამბავს დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა (ახლა ამაზე არ ვისაუბრებთ). 1921 წლის 25 თებერვალს

*„თოვდა და თბილისს ებურა თალხი,*
*დუმდა სიონი და დუმდა ხალხი...“*

კონტრასტის არაჩვეულებრივი ხერხით თოვლის სიწმინდეს, სიკაშკაშეს სიშავე ერწყმის, რაც ემოციურ დისონანსს ქმნის მკითხველის გონებაში. არსად, არც ერში და არც ბერში, არ იყო კონსოლიდაცია: *„დუმდა სიონი და დუმდა ხალხი“*. ყველა თავგზააბნეული იყო.

სიმბოლურად გრდემლი ბედისწერაა, რომელიც უბედურების მომასწავებლად არის ლექსში წარმოჩენილი. ვხედავთ, მხსნელისა და პატრონის გარეშე დარჩენილი ქალაქი როგორ ადის გოლგოთაზე, როგორ აცვამენ ჯვარზე, როგორ ნერწყვავენ, აფურთხებენ, ფეხქვეშ თელავენ... უმძიმესი ტრაგედია შავ-თეთრ ფონზე იხატება, რომელშიც წითელი ფერი სიკვდილის მაუწყებლად შემოდის. სხვა ფერი ამ ტექსტში არ დომინირებს. სიცოცხლეს ძალით ჩააცვეს თალხი. კოჯორსა და ტაბახმელაში თეთრი თოვლი დასტირის *„გმირების გვამებს,/განგმირულ მკერდებს, დალეწილ მკლავებს“*.

კარგი იქნება, თუ მოსწავლეებს ყურადღებას გავამახვილებინებთ ამ ტექსტში არსებულ სიმბოლოთა მნიშვნელობებზე. კოლაუ ნადირაძე, როგორც სიმბოლისტი პოეტი, ტროპის ამ სახეს უშურველად გვთავაზობს, რაც ჩვენს გონებრივ ჰორიზონტს აფართოებს და წარმოდგენათა სპექტრს ამრავალფეროვნებს. მოსწავლეები ჩავაფიქროთ გრდემლის, ცელის, სისხლის, თოვლის, თალხის, გოლგოთის მნიშვნელობებზე. როგორც ზემოთ აღვნიშნე, კონტრასტის ხერხი ძალზე მნიშვნელოვანია ამ ლექსში.

*„წითელი დროშით, მოღერილ ყელით,*
*თეთრ ცხენზე მჯდომი ნაბიჯით ნელით*
*შემოდიოდა სიკვდილი ცელით.“*

სისხლისმწოველ არმიასთან თეთრი ცხენი გარკვეულ შეუსაბამობაში მოდის, მაგრამ იმის გათვალისწინებით, თუ ვინ იყო ამხედრებული (სერგო ორჯონიკიძე) ამ ცხენზე, მარტივად ამოსაცნობი იქნება მოღალატის მიზანი.

ლექსი პირობითად სამ ნაწილად იყოფა. თითოეულ ნაწილში ავტორი სხვადასხვა საკითხს ეხება; კერძოდ, პირველი ნაწილი ეთმობა წითელი არმიის შემოსვლით გამოწვეულ დაბნეულობასა და არეულობას (*„ძილღვიძრად იყო ქალაქი ჩემი“*); მეორე ნაწილში დახოცილი იუნკერების ხილვით აღძრული ტკივილია ნაჩვენები; მესამე ნაწილი ჩვენი ქვეყნის ღირსეული წარსულის შელახვის თემას ეძღვნება. რეფრენი – *„თოვდა და თბილისს ებურა თალხი,/დუმდა სიონი და დუმდა ხალხი“* – იმდროინდელი საქართველოს, ქართველი ხალხის მორალურ-ფიზიკურ მდგომარეობას ასახავს.

ვერსიფიკაციის მიხედვით, ლექსი ათმარცვლიანია, პირველი და მესამე სტროფები წყვილადი რითმითაა გაწყობილი (თალხი-ხალხი, ჩვენი-გრდემლი;/თალხი-ხალხი, ტაბახმელა-ნელა). შემდეგი სტროფების რითმა სათქმელის მიხედვით იცვლება, რაშიც იკითხება ავტორის დაძაბულობა და ემოციურობა.

გასაბჭოებამ რა სიკეთეც მოუტანა ჩვენს ქვეყანას, არაერთ ნაწარმოებშია ასახული, ამის ხმამაღლა ან შეფარულად მთქმელნი დააპატიმრეს, გააციმბირეს, სიკვდილით დასაჯეს. მწერლებს ის უნდა ეწერათ, რაც საბჭოთა იდეოლოგიის პროპაგანდისთვის იქნებოდა სასურველი და ხელსაყრელი. მწერალს ახალი ადამიანი, ე.წ. საბჭოთა მოქალაქე უნდა გამოეწრთო. შეიცვალა მორალური და კულტურული ფასეულობები, ბელადებზე დითირამბები, მათი ქება და მაამებლობა სასიცოცხლოდ აუცილებელი მოთხოვნა გახდა.

ლექსის იდეურ-მხატვრული ანალიზის დასაწერად და პარალელის გასავლებად მოსწავლეებს შევთავაზე გოდერძი ჩოხელის მოთხრობის („აჩლახუნე“) წაკითხვა.

ნონა კევლიშვილი
*სსიპ - ქალაქ თბილისის №190 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი*

**გამოყენებული ლიტერატურა:**

• *კოლაუ ნადირაძე, „25 თებერვალი, 1921“, „ცისფერყანწელები“, 100 ლექსი, გამომც. „ინტელექტი“, თბ.: 2007, გვ.:123.*

შეხვედრა პოეტთან

# თავისუფლება ისე არ მოდის – თავისუფლება ლომთა ხვედრია

მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის „ლიტერატურის მოყვარულთა“ წრის მოსწავლეებმა, უფროსი პედაგოგის **ქეთევან არზიანის** ხელმძღვანელობით, შეხვედრა მოუწყვეს სასახლის აღზრდილს, პოეტ **ჯანსუღ ჩარკვიანს**. სახალხო პოეტზე, შოთა რუსთაველის, გალაკტიონ ტაბიძის, შალვა დადიანის სახელობის პრემიების ლაურეატზე, მის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე გულთბილად ისაუბრეს საღამოს მონაწილეებმა, წაიკითხეს პოეტის 30-ზე მეტი ლექსი. შვილიშვილმა, **ირმა გიგანმა** შოპენის ნაწარმოები შეასრულა. მომღერლებმა – **ეკა მამალაძემ, ირმა სოხაძემ, მერაბ სეფაშვილმა**, სასახლის სარკეებიან დარბაზში, ჯანსუღ ჩარკვიანის ტექსტებზე შექმნილი სიმღერები შეასრულეს.

„ლიტერატურის მოყვარულთა წრის“ წევრებმა საინტერესოდ და შთამბეჭდავად წარმოაჩინეს პოეტის პატრიოტული თუ ლირიკული ლექსები, სადაც შემოქმედმა დიდი ხნის ნაფიქრალ-ნააზრევი, მისი თვალთახედვით დანახული ქვეყანა წლების წინ აგვიწერა.

ბატონი ჯანსუღი, ათეული წლებია, ემსახურება ქართულ სიტყვას; როგორც პოეტი და საზოგადო მოღვაწე, თავისი შემოქმედებით, მაშინაც პირდაპირი და მართალი იყო, როდესაც სიტყვა ტყვიაზე მეტად ჭრიდა. ბევრჯერ ჩაგვაფიქრა, ვინ ვართ? საიდან მოვდივართ? და რას უნდა გავუფრთხილდეთ.

*„ვაი მამულო რამდენს ჰგონია, ვისაც სიტყვა არ აუწონია*
*რომ საქართველოს ნამძლევ გოლიათს,*
*ხმალამოღებულს არ უბრძოლია.“*

ყველაფერი ცაგერის ულამაზეს სოფელ სურმუშში დაიწყო, 6 წლის ასაკში, ბაღში, შეყვარებულ ნატოს გარითმული ლექსი მიუძღვნა: „მიყვარს ნატო, მაგრამ მარტო“, შემდგომ – VII-კლასელი ჯანსუღის დაუვიწყარ და განუმეორებელ სასახლის ღვაწლმოსილ პედაგოგთან, **ქეთევან ანანიაშვილთან** შეხვედრა „ლიტერატურის კაბინეტში“. *„რა იყო ჩემთვის სასახლე? რა და ლამაზი სახლი, რომელშიც ენთო ცეცხლი ჩვენი წინა თაობის მიერ დანთებული, ცეცხლი არც შემდეგ ჩამქრალა, პირიქით, გაღვივდა და კოცონად იქცა. გზას მივყავდი დიდი მწერლობისკენ ისე, რომ არც კი ვიცოდი მალე ვიგრძენი, რომ პოეტი ვარ, ყოველ შემთხვევაში, რაღაც ამდაგვარი. ჩემს ჩამოყალიბებაში წიგნისა და ქართული მწერლობისადმი, სამშობლოს, ოჯახის ერთგულებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა სასახლემ და ქეთევან ანანიაშვილმა“. – ასე იგონებს პოეტი სასახლეში გატარებულ წლებს.*

ბატონი ჯანსუღის ლექსების პირველი შემფასებელი გიორგი ლეონიძე ყოფილა, მან დაულოცა ასპარეზი – *„კარგი ხარ ჯანსუღ, ჩემი ჯილა ხარ“*. პირველი ლექსები ირაკლი აბაშიძეს დაუბეჭდავს. შემდგომ უნივერსიტეტი, სტუდენტობის წლები, „პირველ სხივში“, „ალმანახში“ და „ცისკარში“ (1951-52 წლებში) დაბეჭდილი ლექსები. სიმართლე, ენამზეობა, ჰარმონიულობა, გულწრფელობა, სიჩაუქე – აი, რა ამშვენებს ჯანსუღ ჩარკვიანის პოეზიას.

წლების განმავლობაში მუშაობდა „დილის“, „დროშის“ „ცისკრის“ მთავარ რედაქტორად. ამჟამად „ქართული სიტყვის“ რედაქტორია. სამშობლოზე თავშეწირული პოეტი ისევ მხნედ და დაუღალავად უძღვება საზოგადოებრივ საქმიანობას; უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, ილია II-ის ნაჩუქარი წმინდა ნინოს ჯვრით დააბიჯებს, სწორედ მას მიუძღვნა ეს სტრიქონები:



*„მტრის წინაშე ხმალი უნდა ავლესოთ,*
*ამას ვამბობ მორწმუნეთა წრიდანო*
*უწმინდესო, ჩვენო უნეტარესო,*
*სიცოცხლეში ერთადერთო წმინდანო“.*

სახალხო პოეტი, საქვეყნოდ აღიარებული საზოგადო მოღვაწე დღეს ბედნიერია, რამეთუ ის არაჩვეულებრივი მეუღლეა **ირმა ჩხეიძის**, განსაკუთრებული მამაა მამუკასი და თამარის, უსაყვარლესი ბაბუა გახლავთ ირმა გიგანის და იმ უამრავი მოსწავლის, რომელთა გულები გაახარა 85 წლის პოეტმა. ბატონმა ჯანსუღმა მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორს, ქეთევან არზიანს; **მაყვალა გონაშვილმა, თამარ ჯავახიშვილმა, მანანა დანგაძემ, მზია ხეთაგურმა, როსტომ ჩხეიძემ, ემზარ კვიტაიშვილმა** გაიხსენეს მასთან გატარებული დაუვიწყარი წლები და პოეტისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს; მხატვარმა **რეზო ადამიამ** ფერწერული ტილო უსახსოვრა; პოეტის ძმამ, **ჯიმი ჩარკვიანმა** ბავშვობა და მშობლები გაიხსენა; კომპოზიტორმა, **ვაჟა აზარაშვილმა** პოეტთან ერთად შეასრულა სიმღერა, რამაც დიდი მოწონება დაიმსახურა; **მაცაცო სეფისკვერაძემ, ნუნუ გაბუნიამ, მერაბ ვარდოსანიძემ** პოეტისადმი მიძღვნილი სიმღერებით გაალამაზეს საღამო.



ბატონო ჯანსუღ, გისურვებთ კვლავ ჩვეული შემართებით გაგეწიოთ მეგზურობა ქართველი ერისათვის: *„სისხლის ნათესაო, ხვალის სანუგეშო უთხარ ქართველსაო“*. კვლავაც რკინის უღელში გაბმული გამყოფოთ უფალმა, მრავალჟამიერ.

ქეთევან არზიანი
*მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტის უფროსი პედაგოგი*

# ტრადიცია გრძელდება



თბილისის №2 საჯარო სკოლაში (დირექტორი – **გალაქტიონ მინდიაშვილი**, მოადგილე – **თეონა არველაძე**) იგრძნობა, რომ მოსწავლესაც ეხალისება აქ მოსვლა და მასწავლებელსაც. დიდი გამოცდილების მქონე პედაგოგიური კოლექტივი სიახლეთა ძიების გზით ახერხებს ასეთი ატმოსფეროს შექმნას. ეს, უპირველეს ყოვლისა, შესაძლებელს ხდის მოსწავლეთათვის ხარისხიანი განათლების მიღებას. თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე, სკოლაში მრავალი ღონისძიება ტარდება, ამჯერად ერთ-ერთ მათგანზე მოგითხრობთ.

იმ დღეს უჩვეულო ხალხმრავლობა იყო სკოლაში. შეკრების მიზანი გახლდათ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ დავით უკლებას სახელობის გეოგრაფიის კაბინეტის დაარსების მე-17 წლისთავი და 71-ე რესპუბლიკურ სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაზე გამარჯვებულ მოსწავლეებთან შეხვედრა.

შეხვედრა გახსნა სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელმა, პროფესორ დავით უკლებას მოსწავლემ, რაფიელ დანიბეგაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატმა, გეოგრაფიის დოქტორმა, უფროსმა მასწავლებელმა, **ნუგზარ არჩვაძემ**. იგი მიესალმა ღონისძიების მონაწილეებს და საპატიო სტუმრები წარადგინა: პროფესორ დავით უკლებას შვილები – **მაია** და **მანანა**; **კობა ხარაძე** – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური გეოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელი, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **ელენე სალუქვაძე** – პროფესორ დავით უკლებას მოსწავლე, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, გეოგრაფიის დოქტორი; **ეთერ დავითაია** – პროფესორ დავით უკლებას მოსწავლე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგია-გეოგრაფიის ფაკულტეტის პროფესორი; **ეკა ელიზბარაშვილი**, მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ისტორიისა და ეთნოგრაფიის კაბინეტის პედაგოგ-ორგანიზატორი; ღონისძიების აქტიური მონაწილე სკოლის სიმღერის მასწავლებელი – **ლალი მიქელაძე**.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ სკოლის მოსწავლეები, სასკოლო სახელმძღვანელოსთან ერთად, ცოდნას იმდიდრებენ დამხმარე ლიტერატურით, ისინი იცნობენ მეცნიერების – ლევან მარუაშვილის, ზურაბ ტატაშიძის, ნიკო კეცხოველის, კობა ხარაძის, მაია უკლებას, ელენე სალუქვაძის, ეთერ დავითაიას და სხვათა ნაშრომებს, განსაკუთრებით ყურადღება გამახვილდა პროფესორ დავით უკლებას ნაშრომებზე. მომხსენებელმა, ნუგზარ არჩვაძემ, ბევრი საინტერესო ისტორია გაიხსენა მეცნიერზე, რომელმაც მთელი თავისი ცოდნა და ენერგია ქვეყნის სამსახურს შეალია. ორ ათეულზე მეტმა მაძიებელმა და ასპირანტმა, მისი უშუალო ხელმძღვანელობით, წარმატებით დაიცვა დისერტაცია. ბატონი დავითი არაერთხელ ყოფილა, თავის აღსაზრდელებთან ერთად, ექსპედიციებში და უშურველად უზიარებდა მათ ცოდნასა და გამოცდილებას.

გეოგრაფიის კაბინეტში წარმოდგენილი პროფესორ დავით უკლებას შრომების მოკლე ანალიზი გააკეთა IX კლასის მოსწავლემ, **თეონა ალადაურმა**, სტენდზე ასახული ფოტოილუსტრაციის ანალიზი კი – X კლასის მოსწავლემ, **ანრი კუპრაძემ**.

ბოლოს დასახელდნენ 71-ე რესპუბლიკურ სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის გეოგრაფიის სექციაში გამარჯვებული მეათეკლასელები – **ანი ზოზირაშვილი** და **ანრი კუპრაძე**; აგრეთვე, II ხარისხის დიპლომის მფლობელები – IX და XI კლასების მოსწავლეები: **ნინი ბუიღლიშვილი** და **ნინო გეგეჭკორი**; VIII კლასის მოსწავლე **ქრისტინა როინიშვილი** სიგელით დაჯილდოვდა. გამარჯვებულმა მოსწავლეებმა მსმენელებს უამბეს საკონფერენციო თემების ძირითადი შინაარსისა და მუშაობის პროცესში გამოყენებული მეთოდების შესახებ.

ღონისძიებას განსაკუთრებული ხიბლი შესძინა მუსიკალურმა ნომრებმა, ქალბატონ ლალი მიქელაძის ხელმძღვანელობით, რისთვისაც უღრმეს მადლობა მოვახსენებ მას.

დასასრულს, პროფესორმა კობა ხარაძემ დადებითად შეაფასა სკოლის მიერ გაწეული მუშაობა და მადლობა გადაუხადა ღონისძიების მესვეურთ. გეოგრაფიის კაბინეტს საჩუქრად გადასცა მის მიერ გამოცემული, პროფესორ ლევან მარუაშვილის შრომები: „კვლევა წყვდიადში“ და „უქკნობი წალკოტიდან მარადთოვლიან მწვერვალამდე“.

დასასრულ, ბატონმა ნუგზარმა მადლობა გადაუხადა მოწვეულ სტუმრებს მობრძანებისათვის.

**სოლომონ მელაძე**
*გეოგრაფი, დამსახურებული პედაგოგი*

**კონფერენცია**

# ეპოქა, ადამიანები, ღირებულებები



პროექტი „ეპოქა, ადამიანები, ღირებულებები“ – ამ სლოგანით, უკვე ორი წელია, 72-ე საჯარო სკოლის (დირექტორი – **მანანა კიკაჩეიშვილი**) საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა სხვადასხვა ღონისძიებებს ატარებს, რომლებიც, ძირითადად, ეროვნულ დღესასწაულებს ეხმაურება. პროექტის მიზანია მოსწავლეებში სწორი ღირებულებების განვითარების ხელშეწყობა.

წელს პროექტი მიეძღვნა: საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 100 წლისთავს; შეიარაღებული ძალების 26-ე წლისთავს; საქართველოს დამოუკიდებლობის 26-ე წლისთავს.

პროექტს ხელმძღვანელობდა ისტორიკოსი, ფასილიტატორი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, უფროსი მასწავლებელი **ირმა სამხარაძე**. მუშაობა ერთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. დავალებები ითვალისწინებდა სხვადასხვა აქტივობებს და მედიაწიგნიერების ფარგლებში მიმდინარეობდა – ინფორმაციის შეგროვება, გაცნობა, დახარისხება, ანლიზი, საკლასო წერა, ვიდეორეპორტაჟების მომზადება. პროექტში, ძირითადად, VIII-IX[ბ]-X[ბ], X[დ]-XI[ბ] კლასების მოსწავლეები მონაწილეობდნენ.

დასკვნითი ღონისძიება მოსწავლეთა კონფერენციის სახით ჩატარდა, სადაც მოსწავლეებმა ისაუბრეს როგორ მიმდინარეობდა სამუშაო, რა შეიძინეს ამ სწავლა-სწავლების პროცესში. შეიქმნა სკოლის ახალი ვებგვერდი – 72public-school.webnode.com/„ეპოქა, ადამიანები, ღირებულებები“, სადაც განთავსდა კათედრის მიერ ამ პროექტის ფარგლებში განხორციელებული ნამუშევრები. გამოიცა ბუკლეტი – „21-ე საუკუნის გმირები“.

კონფერენციაზე წარმოდგენილ იქნა მუშაობის პროცესში გამოყენებული მეთოდები და მიღებული შედეგები. ნიმუშების სახით მომზადდა ამ დღისადმი მიძღვნილი შესაბამისი თემატიკის ამსახველი ვიდეორეპორტაჟები. წინასწარ იყო განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში, წარადგენდნენ ნამუშევრებს კონფერენციაზე.

რეპორტაჟების მოსამზადებლად დავალებები გადაინაწილეს ჯგუფებმა და დაიწყო გადაღებები, მასალის შეგროვება, გამოკითხვები. ბავშვებმა ემოციურად წარმოადგინეს თავიანთი შთაბეჭდილებები. მათი თქმით, გაკვირვებულები დარჩნენ და შერცხვათ კიდეც, როცა, 100-ზე მეტი გამოკითხულიდან, უმრავლესობამ არაფერი იცოდა ეროვნული გმირების შესახებ. მოსწავლეები ოჯახებში ეწვივნენ **გიორგი ანწუხელიძის** მეუღლეს – **მაკა ჩიკვილაძეს** და **ზაზა დამენიას** მეუღლეს – **ხათუნა ხუხუნაშვილს**. აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ მათთან ურთიერთობით მიღებული სითბოთი და სიყვარულით. საჩუქრად მიიღეს წიგნი, რომელიც ხათუნა დამენიამ მეუღლეს მიუძღვნა. გმირების ოჯახის წევრები დაესწრნენ ღონისძიებას, რაც ჩვენი სკოლისათვის დიდი პატივია.

XI-კლასელებმა კონფერენციაზე ისაუბრეს იმ გამოცდილებაზე, რომელიც ეკლესიის თემაზე მუშაობისას დაუგროვდათ. მათი თქმით, ამ პროექტმა კარგად გააააზრებინათ ეკლესია-მონასტრების უდიდესი როლი ქვეყნის განვითარებაში, განუმტკიცდათ რწმენა. აღნიშნეს, რომ არც ისე ადვილი აღმოჩნდა იმ კრიტერიუმების დაკმაყოფილება, რასაც პროექტი ითვალისწინებდა, მაგრამ ეს მათთვის განსხვავებული ტიპის სამუშაო გამოცდილება იყო, უკეთესად გაეცნენ ერთმანეთს, შეიძინეს ბევრი სოციალური უნარ-ჩვევა.

მესამე ჯგუფმა, პრეზენტაციის წინ, მსმენელს მოუთხრო, როგორ მოახერხა ძველი წყაროების შეგროვება და კვლევა – რას ფიქრობდნენ ძველი მოგზაურები საქართველოზე, შუა საუკუნეებიდან მოყოლებული XIX საუკუნის ჩათვლით, რა მოსწონდათ ყველაზე მეტად. ვიდეორეპორტაჟებში აქცენტი გაკეთდა იმაზე, თუ რა ღირებულებების შენარჩუნება სჭირდება ერს იმისათვის, რომ დღესაც ისეთივე მიმზიდველი და პოპულარული იყოს, როგორც ეს ძველი დროის ჩანაწერებში აღმოაჩინეს.

მოსწავლეებმა გამოიყენეს უცხო ენების ცოდნა და თვითონ გამოკითხეს, გადაიღეს და ჩაწერეს უცხოელი ტურისტები. მოიძიეს თანამედროვე მოგზაურების ჩანაწერები ინტერნეტსაიტებზე თუ მსოფლიოს წამყვან მედიასაშუალებებში. მათთვის ეს სამუშაო დაუვიწყარი თავგადასავალი აღმოჩნდა. პროექტის მონაწილეებმა აღნიშნეს მასწავლებლის, როგორც თანამშრომლის, მეგობრის როლი მუშაობის პროცესში.

შემაჯამებელ კონფერენციაში მონაწილეობდნენ:

- XI[ბ] კლასის მოსწავლე **მარიამ გაბაშვილი**;
- IX[ე] კლასის მოსწავლეები – **ვახტანგ გამცემლიძე, გიგა ბაშარული**;
- X[ბ] კლასის მოსწავლეები – **ანი ნაკაიძე, ელენე ალაფიშვილი, მარიამ ხურციძე**;
- XI[ბ] კლასის მოსწავლეები – **ნინო ნატროშვილი, ეკატერინე სუბელიანი**;
- X[დ] კლასის მოსწავლეები – **ქეთევან ქიმაძე, რეგინა ალიევა, ანი აბრამოვა, ეთერ კალანდაძე, გვანცა მიქელაშვილი, თათია გიგანი**.

მხატვრული ნაწილი, პროფესიონალური შესრულებით და დიდი ემოციით, წარმოადგინეს: **ნიკა გოგიაშვილმა** – XI[ბ] კლასი, **ანა კანდელაკმა** – IX[ბ] კლასი, **ნატა გიორგობიანმა** – IX[დ] კლასი, **ზურაბ ჭოხონელიძემ** – X[დ] კლასი.

არის წუთები, როცა ემოციით დატვირთული ადამიანი თავს ვერ უყრის სათქმელს, არ იცის, რით დაიწყოს და რით დაამთავროს... ასეთი გრძნობა დაეუფლათ სააქტო დარბაზში მსხდომთ... ამ დღემ ნათლად აჩვენა, რომ სამშობლოსთვის ზვარაკად შეწირული ადამიანების სახელებს დავიწყება არ უწერია, ვიდრე არსებობენ ისეთი პედაგოგები და მოსწავლეები, როგორებიც ამ სკოლაში არიან... ხოლო ოჯახის წევრები ღირსეულად აგრძელებენ ცხოვრებას, უდიდეს ტკივილთან ერთად, უსაზღვრო სიამაყის გრძნობით... ღირსეული მეუღლეები არაჩვეულებრივ შვილებს ზრდიან: **გიორგი დამენია**, პატარა **ლევან** და **ანი ანწუხელიძეები**. გიორგიმ ემოციური სიტყვა წარმოთქვა კონფერენციის დასასრულს. მართლაც და: „კიდევაც დაიზრდებიან...“

ცრემლები, სიამაყის გრძნობა არ აკლდა ამ დღეს. სტუმრებმა დადებითად შეაფასეს კონფერენცია: *„ეს ყველამ უნდა ნახოს, მთელი საქართველოს მომავალმა თაობამ...“, „თქვენს არაჩვეულებრივ მოსწავლეებს უნდა მოუსმინოს მთელმა საქართველომ...“, „აი, რატომ არის ასეთი მოთხოვნადი ეს სკოლა...“* და ა.შ.

სტუმართა შორის იყვნენ ზაზა დამენიას და გიორგი ანწუხელიძის თანამშრომლები: **გიორგი სამხარაძე** – ნორიოს საწვრთნელი ბაზის უფროსის მოადგილე, მაიორი, ავღანეთის მისიის მონაწილე; **გიორგი ხუციშვილი** – გიორგი ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა მომზადების ცენტრის სამეთაურო-საშტაბო კურსის სერჟანტი, მთავარი სერჟანტი; **ბადრი მახარაძე** – მთავარი სერჟანტების კურსის ჯგუფის სერჟანტი, მთავარი სერჟანტი. მათი მოგონებები და შთაბეჭდილებებიც ჩატარებული კონფერენციის შესახებ ძალზე ემოციური და მნიშვნელოვანი იყო როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე დამსწრე საზოგადოებისათვის.

კონფერენციას ესწრებოდნენ: კრწანისის მაჟორიტარი დეპუტატი თბილისის საკრებულოში **ქეთევან მამულაშვილი**, გამგეობიდან და მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროდან: **თემურ გორგაძე** და **კობა ლაგრაძე**, კრწანისის რაიონის ქართული ოცნების პარტიის წევრი **ნინო მაისურაძე**, კრწანისის რაიონის ქართული ოცნების პარტიის ოფისმენეჯერი **მელანო ავალიშვილი**.

*„ეს დღე ჭეშმარიტად დაუვიწყარია... მე ამაყი ვარ, ძალიან ამაყი ვარ თქვენით...“* – ასე მიმართა ქალბატონმა **მანანა კიკაჩეიშვილმა** ღონისძიების მონაწილეებსა და სტუმრებს.

**ნანა აბრამიშვილი**
*სსიპ - ქალაქ თბილისის №72 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე*

ღია წერილი

# ისტორია სილაღისა, ლამაზი დღეებისა, უკვდავი მოგონებებისა...

მე, რატი კობახიძემ, სკოლა „თამარიონის“ დამამთავრებელი კლასის მოსწავლემ, გადავწყვიტე მოგიყვეთ ერთი ისტორია, რომელიც არ ჩაიწერება სახელმძღვანელოებში, რომელსაც არ ასწავლიან მომავალ თაობებს, მაგრამ, რომელიც მუდამ დაიკავებს ადგილს ჩემი და ჩემი კლასელების გონებასა და გულებში. **ეს არის ისტორია სილაღისა, გართობისა, ლამაზი დღეებისა, უკვდავი მოგონებებისა.** ამ ისტორიის მოქმედებები „თამარიონში“ მიმდინარეობდა. პერსონაჟები ყველანი ჩვენ ვართ: დირექცია, მასწავლებლები და მოსწავლეები, ადამიანები, რომლებიც ქმნიდნენ ამ ისტორიის თითოეულ დღეს და თითოეულ წამს. დღეს, როდესაც მე ვტოვებ სკოლა „თამარიონს“, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ აქ მოვედი ბავშვი და აქედან მივდივარ პიროვნება, რომელიც ღიაა შემდგომი დახვეწისა და განვითარებისთვის.

შეუძლებელია არ მოვიხსენიო ადამიანები, რომლებმაც შექმნეს ეს ლამაზი და მნიშვნელოვანი ისტორია. დირექციის წევრები, რომელთა გადაწყვეტილებების მიღმა, პირადად მე, ყოველთვის ვგრძნობდი მათ უდიდეს სურვილს, დავეცავით ჩვენ, ხანდახან ჩვენი საკუთარი თავებისგანაც კი. ასეთი მზრუნველობა იმსახურებს, ჩემი მხრიდან, განსაკუთრებულ მადლობას. აქაური მასწავლებლები ისინი არიან, ვინც, ჩემი აზრით, გამოარჩევენ კიდეც სკოლა „თამარიონს“ სხვა სკოლებისგან. ადამიანები, რომლებიც აღმოჩდნენ არა უბრალოდ პედაგოგები, არამედ მეგობრები. დღეს, როდესაც ჩვენი მასწავლებლურ-მოსწავლური ურთიერთობა ოფიციალურად სრულდება, მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მეგობრული ურთიერთობა კვლავ გაგრძელდება და გაძლიერდება.



ახლა კი მოგმართავთ თანატოლებს, აწ უკვე სკოლადამთავრებულებს: ჩვენ დავასრულეთ ცხოვრების ის ეტაპი, რომელიც მეტჯერ არ განმეორდება და ვდგავართ ყველაზე დიდ გზაგასაყართან, რამდენიმე თვის შემდეგ ყველაფერი შეიცვლება, მთელი ის გარემო, რასაც 12 წელი ვეჩვეოდით, აღარ იქნება. ყოველდღიურად ვეღარ დაინახავთ ძველ და კარგად ნაცნობ სახეებს. ყველაფერი იქნება ახალი და განსხვავებული. ეს შეიძლება გაშინებდეთ, ეს შეიძლება გაბრკოლებდეთ, მაგრამ გახსოვდეთ, რომ მოძრაობა, ცვლილება არის ყველაფრის წინაპირობა, მაშ ჩვენც ნუ გავჩერდებით, ნუ დავბრკოლდებით, მთელი ჩვენი ძალებით, დავიძრათ წინ, სიახლეებისკენ, თავგადასავლებისკენ, მომავლისაკენ. და მაშინ, როდესაც მოგინდებათ წარსულში გადმოხედვა, მოგენატრებათ ეს დღეები, და გპირდებით, ეს აუცილებლად მოხდება, ნუ აცრემლიანდებით, რადგანაც დასრულდა, გაიღიმეთ, რადგანაც მოხდა!



ჩვენ მივდივართ, მაგრამ სკოლა რჩება, ისტორია გრძელდება, იცვლებიან მხოლოდ პერსონაჟები. 2 წლის განმავლობაში მე, რატი კობახიძე, ვიწოდებოდი სკოლა „თამარიონის“ საუკეთესო მოსწავლედ, საუკეთესო თამარიონელად, მე ვტოვებ სკოლას და დირექციისა და პედაგოგიური კოლექტივის გადაწყვეტილებით, ეს ტიტულიც, ოფიციალურ შეხვედრაზე, გადავეცი X კლასის მოსწავლეს ბაჩუკი დალაქიშვილს, რომელიც გამორჩეულია უნერებით, თავისი ცოდნით, ადამიანი, რომელსაც ელის დიადი მომავალი. ვუსურვებ მას დიდ წარმატებებს.

**რატი კობახიძე**

*სკოლა „თამარიონის“ კურსდამთავრებული*

ინფორმაცია

# საქართველოვ, გულო ჩემო



აფხაზეთიდან დევნილი მოსწავლე ახალგაზრდობა აქტიურადაა ჩართული იმ მნიშვნელოვან პროცესებში, რაც ჩვენი სამშობლოს მშვიდობიან განვითარებას, მის ერთიანობასა და ძლიერებას უწყობს ხელს და არასოდეს ივიწყებს იმ სახელოვან ადამიანებს, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ გმირებს, ქართველ მამულიშვილებს, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლის ფასად შეძლეს სამშობლოს თავისუფლების მოპოვება.

სწორედ ამიტომაც მოვიდნენ აფხაზეთის ახალგაზრდობის შემოქმედებითი კავშირის „მომავლის ხმას“ წევრები, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები, აფხაზეთის მთავრობისა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, აფხაზი ეროვნების მრავალშვილიანი დედები, ომის ვეტერანები და ინტელიგენციის წარმომადგენლები ამ წმინდა ადგილას, რომ ამ საზეიმო დღეს, კიდევ ერთხელ მიაგონ პატივი მამულისთვის თავგანწირული ადამიანის, მერაბ კოსტავას ხსოვნას და იარონ იმ გზით, რომელიც ჩვენს ქვეყანას საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანს.



ამ სიტყვებით დაიწყო საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროექტი „საქართველოვ, გულო ჩემო“, რომელიც აფხაზეთის მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს კულტურულ-საგანმანათლებლო ინიციატივების ფარგლებში, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს განათლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის ხელოვნების განყოფილებამ ჩაატარა, ამა წლის 26 მაისს, საქართველოს ეროვნული გმირის, მერაბ კოსტავას დაბადების დღისა და საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად. პროექტის მონაწილეებმა ყვავილებით შეამკეს მერაბ კოსტავას სახელობის სკვერში მდებარე ეროვნული გმირის მემორიალი, რის შემდეგაც მშვიდობიანი მსვლელობით გადმოინაცვლეს მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმის ეზოში, სადაც გამოფენილი იყო აფხაზეთიდან დევნილი ნორჩი მხატვრების ნამუშევრები.

ღონისძიება გახსნა და შეკრებილებს ქვეყნის უმნიშვნელოვანესი დღესასწაული მიულოცა ქ. თბილისის მუზეუმების გაერთიანების გენერელურმა დირექტორმა **ნინო სანადირაძემ**. აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარემ, **ვახტანგ ყოლბაიამ**, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, დეპუტატმა **ჯემალ გამახარიამ**, ჟურნალისტმა **ირმა ოსიამ** და სხვებმა ისაუბრეს 26 მაისისა და 1991 წლის 9 აპრილის ისტორიულ მნიშვნელობაზე ქართველი გმირების – მერაბ კოსტავას, ზვიად გამსახურდიას, ჟიული შარტავას და სხვათა თავგანწირვასა და უდიდეს წვლილზე ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ერთიანობისათვის ბრძოლის საქმეში.

დღესასწაულის საპატიო სტუმრები იყვნენ: **ოთარ პატარიძე**, ქართული სათვისტომოს წევრი პარიზში; აფხაზი ქალბატონი **ზაირა შამბა**; პოეტები: **ჯულიეტა მილდიანი, ბაღათერ არაბული** და **მერაბ კოსტავასა** და ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლები ეროვნული მოძრაობიდან.

ცნობილი ქართველი პოეტების ლექსები: „საქართველოო ლამაზო“, „იქ თავგანწირვა გაგიღებს კარებს“, „აფხაზეთში დავბრუნდებით“, „მახარობელი“, „წუხელ სიზმარში აფხაზეთი ვნახე“, „ცა აფხაზური“ წაიკითხეს: **ანა შელიამ, სანდრო ბასარიამ, გიორგი შელიამ, მარიამ** და **ელენე დემურიებმა, საბა ჩიღოშვილმა, გელა ფარულავამ** და სხვებმა.

ლიტერატურული კომპოზიცია – „ვაჟკაცსა გული რკინისა“ წარმოადგინეს აფხაზეთის №3 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა (ხელმძღვანელი – **სვეტლანა რურუა**); ინსცენირება – „საქართველოვ, გულო ჩემო“ განახორციელეს აფხაზეთის ბავშვთა და ახალგაზრდობის შემოქმედებითი კავშირის „მომავლის ხმა“ წევრებმა; შესრულდა საგალობლები: „წმინდაო ღმერთო“, „ღვთისმშობლისადმი“; მერაბ კოსტავას თანამებრძოლებმა და აფხაზეთის ომის ვეტერანებმა შეასრულეს ქართული ხალხური სიმღერები: „შავლეგო“, „ვარძია“, „მრავალჟამიერი“.

ღონისძიების დასასრულს პროექტის კოორდინატორმა, **ნონა ბერაიამ**, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სახელით, მადლობა გადაუხადა მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმის ყველა თანამშრომელს, იმ დიდი სიყვარულისა და თანადგომისათვის, რომელსაც წლების მანძილზე იჩენენ აფხაზეთიდან დევნილი მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული თვითშეგნებისა და სულიერების განვითარების საქმეში.

ღონისძიება დასრულდა უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათალიკოს პატრიარქის, ილია მეორის სვეტიცხოვლობის დღესასწაულზე წარმოთქმული იმედიანი სიტყვებით: *„ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ აფხაზეთი და ცხინვალი დაკარგული არ არის და ჩვენ, ღვთის მადლით, ვიზეიმებთ საქართველოს გამთლიანებას“.*




*„ჩვენ აღვზრდით ნამდვილად ჭკვიან ახალგაზრდებს, რომლებიც ჩვენზე უფრო გონიერად, რწმენით და სიმართლით წარმართავენ ცხოვრებას.“*

უწმინდესისა და უნეტარესის ილია II- ის ლოცვა კურთხევით აფხაზეთიდან დევნილმა მოსწავლე ახალგაზრდობამ აქტიური მონაწილეობა მიიღო პირველი ივნისის სადღესასწაულო ღონისძიებებში.

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს №2 და №3 საჯარო სკოლების მოსწავლეები და თბილისში კომპაქტურად ჩასახლებული მოზარდები, სიონის ტაძარში, დაესწრნენ წმინდა ნინოსადმი მიძღვნილ ლიტურგიას, რის შემდეგაც მთაწმინდის პარკში გადაინაცვლეს მინი-მატარებლით და დაათვალიერეს პარკის ტერიტორია. მონაწილეებმა – **სანდრო შანავამ, ანა მარგველიანმა, მარიამ შანავამ, გიორგი ტაბატაძემ, ნათია მარგველიანმა, გიო სეგოროვმა, ანდრო ეზუგბაიამ, ლიზი ქარაიამ, ანა კოპალიანმა, მართა** და **ნანა ჯალაღონიებმა** და სხვებმა მონაწილეობა მიიღეს ბომბორაზე გამართულ კონკურსებში – „მე და სამყარო“, „ჩვენ ვხატავთ მზეს“; გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები ზღაპრის გმირებთან.

ღონისძიების მხარდამჭერები: თბილისის მერია, აფხაზეთის მთავრობა, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო.

**ლიზი**: *ძალიან მომეწონა მთაწმინდის პარკი გაზაფხულის ყვავილებით მორთული, ეშმაკის ბორბლიდან მთელი თბილისი დავინახე.*

**გიორგი**: *სიონში სანთლები დავანთე და წმინდა ნინოს მშობლიურ სოხუმში დაბრუნება ვთხოვე.*

**მარი**: *მე ბევრი თანატოლი გავიცანი. ლექსი წავიკითხე, რის გამოც ფერადი ბუშტებითა და ატრაქციონებში შესასვლელი ბილეთებით დამაჯილდოვეს.*

**ანა**: *მადლობა ყველას, ვინც ეს ლამაზი დღე გვაჩუქა.*

**სანდრო**: *მე მინდა, რომ გვიყვარდეს ერთმანეთი და მშვიდობიანად ვიცხოვროთ.*

**ნონა ბერაია**

*აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მთავარი სპეციალისტი*

## მასწავლებლის სამუშაო რვეული




**მასწავლებლის სამუშაო რვეული** პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

4 ლარი

## ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში




წიგნში თავმოყრილია დაწყებითი კლასებისთვის აქტუალური სწავლების მეთოდების გამოყენებით შექმნილი გაკვეთილის სცენარები ქართულში, მათემატიკაში და ბუნებაში. სახელმძღვანელო დაეხმარება მასწავლებელს მოსწავლეებს განუვითაროს: წიგნიერების, მედიაწიგნიერების, მათემატიკური წიგნიერებისა და კვლევითი უნარები, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება.

6.50 ლარი

## კათედრის გამგის პორტფოლიო




**კათედრის გამგის პორტფოლიო** საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

## ინტერაქტიური მეთოდების კრებული




კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

6 ლარი

## მასწავლებლის კალენდარი




კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას. კალენდარს ახლავს** შესავსები გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

სიახლე

5.50 ლარი

## ცნობარი დაწყებითი კლასების პედაგოგებისათვის




ცნობარი დაწყებითი კლასების პედაგოგებისთვის მომზადდა დაწყებითი კლასების მასწავლებლების საჭიროების გათვალისწინებით. მოიცავს: საგნობრივ, თეორიულ მასალას; ცოდნის შესამოწმებელ ტესტებს, რაც საგნობრივი გამოცდისთვის მომზადებაში დაეხმარებათ.

14 ლარი




**წიგნი I**
ძველი ქართული მწერლობა




**წიგნი II**
„ვეფხისტყაოსანი“




**წიგნი III**
XIX საუკუნის მწერლობა




**წიგნი IV**
XX საუკუნის მწერლობა

*თითო ტომის ფასი – 13 ლარი*

## მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის




კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე

fb.com/bakursulakauripublishing




ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.

თითო კრებულის ფასი – 10.90 ლ

## ქართული ენის კრებულები




ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.

სერიის ფასი – 17.70ლ

## ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია „ნამდვილი და მოგონილი ამბები“ შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.




სერიის ფასი – 32.40ლ




12 ლარი

**თამაზ ვასაძე**
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი




10 ლარი

**ფიზიკა**
საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი, ზ. ბერაია




7 ლარი

**ქართული ენის გრამატიკა**
სინტაქსი (სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე




8 ლარი

**ქართული ენის გრამატიკა**
მორფოლოგია (სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე

დიოგენე




ერთი ტომის ფასი – 9 ლარი

**თემატური ენციკლოპედია „რა არის რა“**
- ქიმია
- მეცნიერებები
- ხალხთა დიდი გადასახლება
- კრიმინალისტიკა
- არქიტექტურა
- ევროპა
- უძველესი ადამიანი
- მეკობრეები
- ჯანსაღი კვება
- ამინდი
- ოლიმპიური თამაშები



10 ლარი

**თამარ ბეროზაშვილი**
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)




4 ლარი

**თამაზ ვასაძე**
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის




10 ლარი

**ბიოლოგია** (II ნაწილი)
ეროვნული გამოცდებისთვის
ლ. ბურდილაძე, ნ. სიხარულიძე, ქ. მაღრაძე, ღ. ნაზირიშვილი




9 ლარი

**ისტორია**
საატესტატო გამოცდისთვის
ნ. ახმეტელი, ბ. ლორთქიფანიძე, ნ. მურღულია

**ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:**
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
ფიზიკურმა პირებმა, თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი. შექენის მსურველები დაგვიკავშირდით: 599880073, 0322958023

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

CMYK